პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 40. კვირა, 13 ნოემბერი 1905 წლისა. № 40.

„მოგზაურის“ რედაქცია აცხადებს, რომ ვისაც ხვედრი ფული არ აქვს შემოტანილი, დაიჭიროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში გახეთის გზავნა მოესპობა.

გურიის აწიოკებულ-აოხრებულ ოჯახების სასარგებლოთ „მოგზაურის“ რედაქციაში გამართულია ხელის მოწერა.

კვირას, 13 ნოემბერს, დილის ათ საათზე ნაძალადევში გაიმართება

საჯარო მიტინგი.

გასარჩევი კითხვები:

1. **ვიტტეს მთავრობა და ლიბერალები.**
2. **დემოკრატიული თვითმართველობის შემოღება თფილისში.**

თფილისის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაცია.

შინაარსი: პროლეტარიატის დანიშნულება.—სხვა და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთი.—როგორ მიეგება ბაქო „კონსტიტუციას“, კ. —ისა.— თავისუფლება, ლექ. ი. ევდოშვილისა.—პატარა ფელეტონი, თაგუნასი.—პრესა.—პირდაპირობა და ორგანოსა საზოგადო საქმეში, ფ. მახარაძისა.—პარტიის ცხოვრებიდან.—ღირსეული ქებადიდება.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ნაციონალური პატიოსნების მეიჯარეები, ხეჩოსი.—წერილები რედაქციის მიმართ.

პროლეტარიატის დანიშნულება.

1889 წელს, პარიჟში საერთაშორისო სოციალისტურ კრებაზე, სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილმა მოღვაწემ, გ. პლეხანოვმა სხვათა შორის თქვა: „რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან იგი სრულებით ვერ გაიმარჯვებსო“. მას შემდეგ გავიდა 15 წელიწადი და ყველა აშკარათ ხედავს, თუ რამდენათ მართალი იყო ეს სიტყვები. რუსეთის ხალხის განთავისუფლება, თვითმპყრობელობის საფუძვლის დანგრევა შეეძლო მხოლოთ რუსეთის პროლეტარიატს. რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა და რუსეთის პროლეტარიატი სასტიკათ და დაუზოგველათ ებრძოდენ ერთმანეთს. სიტყვა «მუშა» მეფის მთავრობისათვის საზარელ სიტყვათ გადაიქცა. იმის ხმარება აკრძალული იყო, იმას ვერ ახსენებდით პრესაში. მეფის მთავრობამ შეაიარაღა ყველა თავის ძალები მუშის წინააღმდეგ: მთელი ამოდენა ჯარი, ცუთვალავი პოლიციელები, ჯაშუშები, ჯანდარმები და კაზაკები — ყველა ესენი მთავრობამ მუშებს მიუსია: ცემეთ, ამათრახეთ, ესროლეთ, რაც გინდოდეთ, ის უყავით, ოღონდ იმას ნუ ალაპარაკებთ, ოღონდ იმას თავისუფლათ გაელის ნებას ნუ მიცემთო! მერე ვინ იყო ეს მუშა? რით იყო იგი ასე ძლიერი, საშიშარი და თავზარდამცემი შეიარაღებული მთავრობისათვის? მუშა—ეს ყველაზე პატარა კაცი, ყველასაგან გათელილი, უსიტყვო და უიარაღო,—აი ვინ გვრიდა შიშის ზარს უძლიერეს მთავრობას, აი ვინ უფრთხობდა ძილს ყველა იმათ, ვინც განცხრომასა და ფუფუნებაში იყო. და ამაში მთავრობა არ ცდებოდა, მისი შიში და ძრწოლა ტყუილი არ იყო. მუშის მარჯვენაზე კიდია მთელი ამოდენა სახელმწიფო: ყველა მისი შრომის ნაყოფით საზრდოობს. დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება აშენებულია იმაზე, რომ საზოგადოების უმცირესობა, მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები, მიწათმფლობელები და მთავრობის მაღალი მოხელეები, იძაკუთრებენ ხალხის უმრავლესობის ნაოფლარს. მუშა ხალხი შეადგენს უმრმვლესობას, მას შეუძლია ბოლო მოუღოს აშ გაყვლეფას, ამ უსამართლობას. მას წინ ვერ აღუდგება, ე. ი. წინააღმდეგობას ვერ გაუწევს დღევანდელი მთავრობა, რაც უნდა იგი შეიარაღებული იყოს. მაგრამ ამას შეძლებს მუშა ხალხი მხოლოთ მაშინ, როცა იგი შეგნებული და შეკავშირებულია. სანამ მუშა ან მუშების ჯგუფი დაქსაქსული და განმარტოებულია, სანამ მუშა ხალხში არ არის სოლიდარობის და ერთობას იდეა განმტკიცებული, ერთი სიტყვით, სანამ მუშა ხალხს გათვალწინებული არა აქვს თავისი კლასობრივი მდგომარეობა, იგი უძლურია, მას ადვილათ ყველაზე და ავიწროებას საზოგადოების მუქთა-ხორა ნაწილი. ამიტომაც მთავრობა და ყველა მისი დამჭაშები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ, რათა მუშების ბნელ და ნესტიან სარდაფებში არ შეჭრილიყო სინათლის შუქი, რათა მუშებს არ შეეგნოთ თავისი ნამდვილი მდგომარეობა და მიზეზი თავისი გაჭირვებისა და დაჩაგვრისა. მაგრამ ამაო იყო მთავრობის მეცადინეობა: მათრახებით, ხიშტებით და თოფ-ზარბაზნებით შეიძლებოდა ადამიანების ამოხოცვა და ამოჟლეტა, მაგრამ შეუძლებელი იყო ჭეშმარიტების და სამართლიანობის აღმოფხვრა, შეუძლებელი იყო მუშებში შეგნების შეჩერება და მით უმეტეს ამ შეგნების სრულიად აღმოფხვრა. სულ მცირე ხნის განმავლობაში მუშების მოძრაობამ შეანძრია და ბოლოს თავდაღმა დააბრუნა რუსეთის თვითმპყრობელობის საძირკველი. პროლეტარიატმა პირველათ დაანახვა საზოგადოებას, რომ მთელი საზოგადოების ბედ-იღბალი მუშა ხალხზე კიდია, რომ თუ იგი გაჩერდა და თუ მან შეწყვიტა მუშაობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა უნდა შეწყდეს,

მთელი ცხოვრება უნდა შეჩერდეს. პროლეტარიატის ბრძოლის ტაქტიკა ძ საშუალება: გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები თითქმის ყველა რადიკალურ და ლიბერალურ ელემენტების ტაქტიკათ გადაიქცა, და უკანასკნელ დროს ყველა ესენი პროლეტარიატის დროშის ქვეშ გამოვიდენ თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ. ყველა უძლური იქით მიდის, საითაც ძალას ხედავს. ყველა ეს ელემენტები პროლეტარიატას სიძლიერეში რომ დარწმუნებული არ იყვენ, არც ერთი იმათგან თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატის დროშას არ ამოეფარებოდა. უკანასკნელ დრომდის, სანამ თვითმპყრობელობის საძირკველი არ შიერყა არც ერთ რადიკალურ და ლიბერალურ ბურჟუაზიის ჯგუფს არავითარი ორგანიზაცია და გარკვეული სამოქმედო პროგრამა არ ჰქონებია შემუშავებული. იყო მხოლოთ ერთათ ერთი პარტია—რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტია, რომელიც უკვე მოწყობილი იყო ორგანიზაციულათ და რომელსაც ჰქონდა შემუშავებული გარკვეული სამოქმედო პროგრამა. სწორეთ ბურჟუაზიულ კლასების სრული მოუმზადებლობით აიხსნება ის გარემოება, რომ იმათი წარმომადგენელები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ატეხილ ბრძოლაში პროლეტარიატის წითელ დროშის ქვეშ მოექცენ. თვითმპყრობელობა დღეს ყველასათვის, საზოგადოების ყველა კლასებისათვის მეტ ბარგათ გადაიქცა. იმის დამხობა და მის ადგილას წარმომადგენლობითი მთავრობის დაფუძნება, ყველასათვის აუცილებელ საჭიროებათ გადაიქცა. მაგრამ ამაში უძლური იყვენ ყველა ბურჟუაზიული პარტიები. ეს მხოლოთ პროლეტარიატს შეეძლო. და აი კიდევაც პირველი იერიშის დროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ლიბერალური და რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენელები პროლეტარიატს შეურიგდენ. და აი თვითმპყრობელობა ძლეულ იქნა, გამოცხადდა რაღაც კონსტიტუციის მსგავსი. რა თქმა უნდა, რომ ეს არ დააკმაყოფილებდა მებრძოლ პროლეტარიატს და მან იარაღის დაყრის მაგიერ კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა. აი აქ კი შეკრთენ ბურჟუა-ლიბერალები. მაგრამ პირველ დღეებში კიდევ ვერ ბედავდენ მუშების წინააღმდეგ ამხედრებას. ისინი კიდევ პროლეტარიატის თავგანწირული და დიადი ბრძოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ისინი ვერ ახერხებდენ მთავრობის მიმხრობას, თუმც არ მალავდენ, რომ თუ მთავრობა გაამართლებს თავის დაპირებას, ისინი მზათ არიან მას გვერდში ამოუდგენო. ესენი იყვენ ეგრეთ წოდებულ კონსტიტუციონალურ—დემოკრატიულ პარტიის, რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები. თუ ასე მოიქცენ რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენელები, ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოიქცეოდენ ლიბერალური და ნახევრათ ლიბერალური პარტიები. იმათ პირველი ნაბიჯი არც კი ქონდათ გადადგმული წინ, რომ უკან დაიხიეს და თავისი თავი „წესიერების პარტიათ'' გამოაცხადეს. და აი დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზიულ კლასების სხვა და სხვა პარტიები დგება, ორგანიზაციებს აწყობენ, მუშების წინააღმდეგ კავშირებს აარსებენ, რომ პროლეტარიატის ბრძოლა შეზღუდონ, შეაჩერონ. იმით კარგათ იციან, რომ დღევანდელი თავისუფლება პროლეტარიატს ვერ დააკმაყოფილებს, რომ პროლეტარიატის მოძრაობა მთელი დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ არის მიმართული.

აშკარაა, რომ პროლეტარიატი ახლო მამავალში სრულებით განმარტოებული დარჩება, მას არ ეყოლება მოკავშირე იმ დიად ბრძოლაში, რომლის მიზანი სოციალიზმის განხორციელებაა, როცა ბოლო უნდა მოელოს ადამიანის ყოველგვარ დაჩაგვრას და შევიწროებას. მაგრამ პროლეტარიატი ისარგებლებს და შესანიშნავათ გამოიყენებს-მ-ფეოდალურ სუფლებას, რომელიც მან დღეს მოიპოვა და რომლისთვისაც მან ამოდენი სისხლი დაღვარა. დღევანდელი თავისუფლება ის ძლიერი საშუალებაა, რომელიც გაუადვილებს მუშა ხალხს ორგანიზაციულათ შეკავშირებას და გაერთიანებას. მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანი სოციალიზმის დამყარებაა; პოლიტიკურ თავისუფლების მოპოება დიდი ნაბიჯის წინ გადადგმაა ამ მიზნის განხორციელებისაკენ რაც შეიძლება ფართო პროპაგანდის გამართვა ყოველგან, სადაც კი მუშა ხალხი ცხოვრობს და რაც შეიძლება მეტი მუშების მტკიცე კავშირით გაერთიანება,—აი რა შეადგენს დღეს სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის უპირველეს დანიშნულებას. რუსეთის პროლეტარიატი შეძლებს დღევანდელ პატარა თავისუფლებას გამოყენებას თავის დიდებული მიზნის განსახორციელებლათ.

სხვა და სხვა ამბები.

დღეს, 13 ნოემბერს, ვერაზე დანიშნულია სახალხო მიტინგი რუს. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის „უმრავლესობის" ფრაქციის თფილისის კომიტეტის მიერ.

— დღეს 13 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ქართულ სცენის მოყვარულნი დაზარალებულ გურულების სარგებლოთ წარმოდგენას მართავენ. ბილეთების ფასი მომატებულია.

— 20 ნოემბერს, თბილისის სახაზინო თეატრში გაიმართება ქართული ოპერა გურიაში კაზაკებისაგან გადამწვარ ოჯახების სასარგებლოთ. წარმოდგენილ იქმნება სამ-მოქმედებიანი ოპერა „სევილიელი დალაქი", მუსიკა როსსინისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ძნელაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, ცხომელიძე, აღასოვი, ჯაფარიძე, ნეიფარიანი, ი. კარგარეთელი. დასასრული გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რუსულ საოპერო დასის მომღერალნი: ქ-ნი არციბაშევისა; ბ-ნი კოლოტოვი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო შეასრულებს რამდენსამე ქართულს სიმღერას.

— მოსკოვიდან მივიღეთ შემდეგი დეპეშა: 9 ნოემბერი. სრულიად რუსეთის საგლეხო კავშირის და სახალხო მასწავლებელთა და სახალხო სწავლა-განათლების მოღვაწეთა კავშირის შეერთებული კრება თავის ძმურ სალამს უგზავნის ქართველ ერის ყველა მებრძოლთ და გურულებსაც, რომელნიც რუსეთის მშრომელ ხალხის დიად განმანთავისუფლებელ მოძრაობის სათავეში დგანან. კრება პატივსა სცემს ბრძოლაში მოკლულთა ხსოვნას. დახოცილთ—დიდება, ცოცხლებს—თავისუფლება! კრების თავმჯდომარე ტანი. მდივანი სკვორცოვი.

—13 ამ თვეს გურიაში აპირებს წასვლას ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ა. ყიფშიძე. გურიაში ეხლა თითქმის ყველა დაწესებულება—ადმინისტრატიული სასამართლო, საფოსტო, მოისპო. ვიცე-გუბერნატორს მინდობილი აქვს გურულებთან მოლაპარაკება და ამ დაწესებულებათა მოქმედების განახლება. (ც. ფურ.)

— ბათუმსა, ბათუმის ოლქსა დე კონტრიშის ხეობაზე სამხედრო წესები გაუქმდა.

— ჰიათურაში 8 ნოემბერს, დილის ათ საათზე, სადგურის ახლოს, ლიანდაგზე მოჰკლეს ბესარაბიის პოლკის მეექვსე როტის კომანდირი ტარასოვი. მკვლელი დასჭრეს და შეიპყრეს.

— 22 ოქტომბრის ამბის გამო ნამესტნიკმა მადლობა გადაუხადა ჯარს, რომ ისე ერთბაშათ ჩააქრო არეულობაო (**за быстрое сосредоточеніе** და თავი არ დაჰკარგა. ამასთან ერთათ ნამესტნიკი სწერს: ამიერიდან იმ შენობებს, საიდანაც სროლა მოგესმებათ, სროლითვე გაეცით პასუხიო.

— ჰიათურაში რკინის გზის სახალხო მატარებლების მოძრაობა 4 ნოემბრიდან დაიწყო. პირველი სახალხო მატარებელი წითელი დროშებით შემკული მოვიდა. ერთ დროშაზე, სხვათა შორის, ეწერა: „ძირს დვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას“! დაბაში სხვაფრივ სიწყნარეა.

— „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ 6 ნოემბერს, სადამოს 6 საათზე „ნოვოე ვრემია“-ს სტამბაში მივიდა 100 მუშა და, მუშათა დეპუტატების საბჭოს კომიტეტის ბრძანებით, განიზრახეს სტამბაში დაებეჭდათ „მუშათა დეპუტატების საბჭოს ცნობების“ მეშვიდე ნომერი. სტამბის გამგე და მოსამსახურენი დაატუსაღეს და შეუდგენ მანქანაზე ბეჭდვას. სტამბის ყველა შესავალში შეიარაღებული მუშები იდგენ. ვინც სტამბაში მივიდოდა, ყველას ატუსაღებდნენ. ბეჭდვა გაათავეს დილის 10 საათზე. დაბეჭდილი გაზეთის ფურცლები ეტლებით წაიღეს. პოლიციამ ეს ამბავი მხოლოთ მეორე დღეს გაიგო.

— ვლადივასტოკში ამას წინათ ჯარში დიდი არეულობა მოხდა. 6 ნოემბერს, ქალაქს გამოცოცხლება დაეტყო, თუმცა უცხოეთის გემების გადმოტვირთვას არ შესდგომიან. ჯარში არეულობა წყნარდება ლინევიჩის ბრძანების წყალობით, რომელმაც განკარგულება მოახდინა, დაუყოვნებლივ დაითხოვონ 5,000 ჯარის კაცი სათადარიგოთ და ყველა ძველი სათადარიტონი პრიამურიისა. საშინელ სურათს წარმოადგენს დანგრეული ქალაქი. დაარსდა კომიტეტი დაზიანებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ. ჩინელებმა თავი შეაფარეს გემებზე. ბევრი წავიდა. სანოვაგე არაა.

— გროდნოში 7 ნოემბერს არეულობა მოხდა მე 26-ე საარტილერიო ბრიგადაში. უბრალო ჯარის კაცთა ერთი ნაწილი დატუსაღებულია. მიზეზი არეულობისა ისაა, რომ მათ მოისურვეს წინად დისციპლინის დარღვევისათვის დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება.

— ეკატერინბურგში 7 ნოემბერს საბჭომ ერთხმათ დაადგინა, მოსთხოვოს მთავრობას პოლიტიკურ დამნაშავეთა სრული ამნისტია, გადასდოს 500 მანათი ამგვარ დამნაშავეთა დასახმარებლათ და ამ გვარივე მიზნით ხმოსანთა შორის გამართოს ხელის მოწერა.

— დონის როსტოვში 7 ნოემბერს ასმოლოვის ქარხანასთან მუშებსა და კაზაკებს შორის შეტაკების დროს მძიმეთ დაიჭრა ათი კაცი.

— პოლიციის მე-7 ნაწილში, 9 ნოემბერს, საღამოს 7—8 საათზე, ერთი ალიაქოთი ატყდა, ჭხმა გავარდა: „თფილისის პოლკის 4000-მდე სალდათი აჯანყდა, დუქნები დაკეტეთ, თორემ უბედურება აუცილებელიაო“. მართლაც, მთელ ავლაბარში მსწრაფლ დუქნები ჩაკეტეს და ყველა სახლისაკენ გარბოდა. როგორც გიმოირკვა, თფილისის გრენადერთა პოლკში შემდეგი ამბავი მომხდარა: ერთს სალდათს ჯარის უასბის ბიჭთან ლაპარაკი მოსვლია. ბიჭს მოუქნევია დანა და სალდათისათვის მუნდირი ჩამოუჭრია. სალდათებს მოჩხუბარი ბიჭი დაუჭერიათ და მორიგე აფიცრისათვის გადაუციათ. მერე ბიჭის პატრონი მოსულა და მოუხერხებია ბიჭის განთავისუფლება. ეს რომ სალდათებს გაუგიათ, გული მოსვლიათ და მოულაპარაკნიათ იმაზე, თუ რათ გაანთავისუფლეს ბიჭი და რატომ პასუხის გებაში არ მისცეს. სალდათები წასულან მორიგ აფიცერთან და გულმოსულებს ლაპარაკი დაუწყიათ. აფიცერს დაუნახავს, რომ სალდათები აღელვებულნი იყვნენ და პოლკის აფიცერთა კლუბში შესულა. შთელი პოლკი ფეხზე დადგა, მისცვივნიან აფიცერს და დაუწყიათ პროტესტის გამოცხადება: „ჩვენ აქ შიმშილით ვიხოცებით, აი, ჩვენი ცოლ შვილისაგან გამოგზავნილი წერილები, ისინიც შიმშილით გვეხოცებიან, რათ გვამყოფებთ ასეთ მდგომარეობაში! აქ ქალაქში არავითარი „ბუნტები“ არ არის, გაგვანთავისუფლეთ, რომ წავიდეთ სამშობლოშიო“ და სხვა. აფიცრობა შეფიქრიანებულა და კლუბიდან წასულან. სალდათებს ტელეფონით პოლკის უფროსისთვის დაუძახნიათ. როგორც ამბობენ, პოლკოვნიკს მისვლისას ჯავრობა დაუწყია, იარაღი ამოუღია და დამუქრებია. ამას უფრო გაუმწარებია სალდათები. მაშინ უფროსი შესულა სადგომში, იარაღი აუხდია, ისე გამოსულა ჯართან და დაუწყია ლაპარაკი, დამშვიდებულიყვენ. ჯარი დამშვიდებულა და უფროსისთვის მოთხოვნილებანი წერუდგენია, თან განუცხადებია. 10 ნოემბრის საღამომდე აგვისრულეთ ეს მოთხოვნილებაო. (ნც. ფ.).

კორესპონდენციები.

განჯა. როცა განჯაზე უნდა ვისმეს რამე თქვას ან დაწეროს, საჭიროა სახეში ჰქონდეს სამი განჯა: განჯა-სადგური, განჯა-თათრების და განჯა-სომხების. სადგურზე და მის ახლო-მახლო მცხოვრებთ რკინის გზის მოსაწსახურეები შეადგენენ, უმეტესობა აქ ქართველობაა. სადგურ განჯის მცხოვრებნი დიდათ განსხვავდებიან დანარჩენ ორი განჯის მცხოვრებთაგან: თუ სადგურზე ცხოვრება დუღს და გადადუღს, ქალაქში კი ცხოვრება მიდუნებულია; სადგურზე არა გრძნობ თავს მოწყვეტილათ კულტურულ ცენტრებთან, რადგანაც აქ ის ხდება (მეტადრე ამ ოთხ-ხუთ ბოლონდელ თვეში), რაც სხვაგან—ბრძოლა და მისწრაფება უკეთესის მომავალასკენ ჭაჩაღებულია. სულ სხვაა ნამდვილი ქალაქი განჯა.

ყოველ-გვარ კულტურულ მოძრაობის მხრით ქალაქი განჯა ჩამორჩენილი არის; მხოლოთ მოსწავლე ახალგაზდათა სუსტი პროტესტი არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ არღვევდა რამოდენიმეთ განჯის ცხოვრების ერთფეროვნობას. სულ სხვას წარმოადგენს, როგორც ზემოთა ვთქვი, განჯა-სადგური: ამ რამდენიმე თვის განმავლობაში, მაინც შესამჩნევი ნაბიჯი წარსდგა წინ ასე რომ დღეს აქ სადგურზე მუშათა მტკიცე ორგანიზაცია დაარსდა, რომელშიაც შედის 600—600 კაცი.

15 ოქტომბერს გამოცხადდა აქ რკინის გზის მოსამსახურეთა პოლიტიკური გაფიცვა; გაფიცვას პირველათ ხელს უშლიდენ ზოგიერთი ვაჟ-ბატონები, მაგრამ 16 ოქტომბერს ღამით სადგურის უფროსის თანაშემწეს, ტერპილოვსკის, ვილაცეებმა შიგ კაკარდაში მოარტყა ტყვია, რომელმაც შუბლს აუხვია (ალბათ კაკარდის ხათრით) და მხოლოთ ქოჩორზე ცოტა ტყავი ააფხაჭნა. ამ ამბის შემდეგ კი გაფიცვისთვის მაინცა და მაინც არავის შეუშლია ხელი; ბ-ნი ტერპილოვსკი ძმა გახლავთ ტრაგიკულათ გადაცვლილის თბილისის სადგურის უფროსისა.

18 ოქტომბერს გავიგეთ მანიფესტის გამოცხადება; სადგურზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გადაწყდა მანიფესტაცია გამართულიყო დაუყონებლივ ქალაქშიაც ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის მეთაურობით. ათასამდე კაცი და ქალი წითელი დროშებით ხელში, რომელზედაც წარწერები იყო ქართულ-სომხურ-თა-

თრულ და რუსულ ენაზე, რკინის გზის მუსიკით და მარსელიეზის სიმღერით გაემართა სადგურიდან ქალაქში. ქალაქიდან მანიფესტანტებს ეიეგება მოსწავლე ახალ გაზთობა და ზოგიერთი ინტელიგენტი პირები. სალამოს 4½ საათზე მანიფესტანტები შემოვიდენ ქალაქში, პოლიცმეისტერმა მიმართა ხალხს წითელი დროშები დაემალათ, მაგრამ ამაზე მარსელიოზის სიმღერით უპასუხეს. ხალხმა შემოიარა ქალაქის უმთავრესი ქუჩები და გაჩერდა ქალაქის ბაღთან, გუბერნატორის სახლის ახლო. აქ ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს ქართულ და რუსულ ენებზე, შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა სომეხმა ამხანაგმა და პოლოს წარმოთქვა სიტყვები თათრულ ენაზედაც, რაც ძლიერ სასიამოვნოთ დარჩა. თავიანთ სიტყვებში ორატორები რასაკვირველია არჩევდენ, რომ ოქტომბრის მანიფესტი პოძებული კი არ არის, არამედ პროლეტარიატმა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით დიდი ხნის სისხლის ღვრის შემდეგ ხელიდან გამოგლიჯა თავგასულ ბიუროკრატიას, რომ ეს პირველი ნაბიჯია პროლეტარიატისაგან მედგრათ გადადგმული, რომელსაც უნდა მოყვეს მეორე, მესამე და მეტიც, ვიდრე სოციალიზმი განხორციელდებოდესმ და სხვა და სხვა. შეეხენ აგრეთვე სომეხ-თათართა დღევანდელ ურთიერთობას და აღნიშნეს სომეხ-თათართა ბურჟუაზიის როლი ამ ორი ერის სისხლის ღვრაში. მიტინგი გათავდა. მანიფესტაციები გაგრძელდა მეორე დღესაც, 19 ოქტომბერს. 20 ოქტომბერს თათრებმა გამართეს საკუთარი მანიფესტაცია საზანდრის დაკვრით და ამ დღეს ერთმა თათარმა წარმოსთქვა სიტყვა სომხებას ნიწილში სომხებსა და თათრებ შორის ძმობა-ერთობის განმტკიცებაზე. სხვათა შორის წარმოსთქვა მან, რომ კავკასიაში ერთობის მაღიარებელი მოძრაობა მხოლოთ გურჯებმა (ქართველებმა) შექმნეს, მაშინ როდესაც ჩვენ—სომხები და თათრები ერთმანეთის ჟლეტაში ვლევთ ჩვენ დღესაც; დროა მოვიდეთ გონს, დავივიწყოთ შური და მტრობა და ქართველთან ერთათ (რასაკვირველია ქართველ მშრომელ ხალხთან) ჩვენც ჩავებეთ განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულშიო.

21 ოქტომბერს გავრცელდა ხმა რომ „დროშაკისტებს“ ვითომ მიემართოს პოლიცმეისტერისათვინ ნება მოგვეცა ანტისოციალ-დემოკრატიული მანიფესტაცია მოვახდინოთო, მაგრამ პოლიცმეისტერს ვითომც ნება არ მიეცეს.

27 ოქტომბერს მოიხსნა გაფიცვა განჯაში. «პატრიოტული» ანუ ხულიგანური მანიფესტაცია განჯაში, საბედნიეროთ, არ მომხდარა. 27 ოქტომბერს, საათის ცხრაზე დილით შეიქნა ერთი ჩოჩქოლი ბაზარში. გავრცელდა ხმა, რომ ღღესვე მოხდება სისხლის ღვრა სომხებსა და თათრების შორისო. მსწრაფლ დაიკეტა დუქნები და ორივე მხარე საომრათ მზადებას შეუდგა. და აი რა მოხდა: საათის ცხრაზე ერთ მახლობელ თათრის სოფლიდან ბაზარში მოაჭენა უბელო ცხენი ერთმა თათარმა და გაშმაგებულმა მიმართა მართლმორწმუნეთ: „ხალხო! წუხელი დაგვეცენ სომხები თავს, რიცხვით 500-სამდე და სულ აგვიკლეს, გადაგვწვეს და ჩემს გარდა ყველანი დახოცეს, მე გამოვასწარ ძლივს. ხალხო! ნუ თუ შურს არ იძიებთ?“ და სხვა ამ გვარები. აი ეს გახლდათ ხალხის არევ-დარევის მიზეზი. პოლიცმეისტერის განკარგულებით შეპყრობილ იქმნა «მქადაგებელი». მაგრამ ორი საათის შემდეგ ისეც გაუშვეს ვიღაცის თავდებობის ქვეშ.

როგორც გამომკვეს, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ არავითარი თავ-დასხმა სომხებისაგან არ მომხდარა და ტყუილათ გავრცელა საშინელი ამბავი იმ თათარმაო, და თუ ეს ასეა, რაღათ გაუშვეს ის თათარი?... ერთი სიტყვით დღე არ გადის ისე, რომ არ გავრცელდეს ხმა. ესა და ეს სოფელი აიკლეს თათრებმა, ესა და ეს—სომხებმაო, და როდის მოვლენ ბოლო ამ საშინელ ამბებს არ იცი. რაში ან[illegible] ხსნა?

ერთათ ერთი ხსნა იმაშია, რაც უკვე გამოთქვა ჩვენმა ორგანომ (მოგზ. №№ 33 და სხვები): სანამ ამ ორი ერის მუშა ხალხი იმდენათ არ ამაღლდება ეონებით, რომ თავისი კლასსიური ინტერესი შეიგნოს და თავი დააღწიოს ბურჟუაზიის და სამღვდელოების გავლენას, რომელთა იდეოლოგები კვლავ განაგრძობენ კლასთა შორის «საერთო ნიადაგის» და ჰარმონიის ძებნას, მანამდი არავითარ ძალებს არ შეუძლიათ ამ ორ ერთა შორის განხეთქილების მოსპობა. კლასიური ინტერესების შეგნება, კლასიურ წინააღმდეგობის გაღრმავება სომეხ-თათართა მუშა ხალხში, აი სომეხ-თათართა სოციალ-დემოკრატიის უმთავრესი მიზეზი და მოვალეობა! ნუ თუ სომხის მუშა ხალხს არ ძალუძს შექმნას ისეთი ძლიერი სოციალ-დემოკრატიური პარტია, რომელიც წინააღუდგეს სომხის ბურჟუაზიის ნაციონალ-შოვინისტურ პარტიას, როგორიც «დროშაკისტების» პარტიაა. ჩვენ გვჯერა, რომ დღეს ეს არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელი საჭიროებაა.

Sandäman.

რუსეთი.

30 ოქტომბერს ნიკოლაევის რკინის გზის ალექსანდროვის მექანიკურ ქარხანაში გაიმართა მიტინგი. ალექსანდროვის ქარხნის მუშათა საბჭოს წარმომადგენელმა მოახსენა შეკრებილებს შედეგი წინ ღამით მომხდარ მუშათა დეპუტატების კრებისა, რომელმაც გადასწყვიტა შემოიღოს 8 საათ. სამუშაო დღე რევოლიუციონური საშუალებით. დიდის აღტაცებით მოისმინა კრებამ ემიგრანტების. ბ. დეიჩის და ვ. ზისულიჩის რუსეთში დაბრუნების ამბავი. ისინი ეხლა პეტერბურგში იმყოფებიან თურმე და დიდის პატივისცემით იქმნენ მიღებული მუშათა რჩევის წარმომადგენელთა მაერ. გაირჩა კითხვა იმის შესახებ თუ რანაირათ მოეკცენ შავ რაზმელ მუშებს. ჯერ უნდოდათ გამოერიცხათ ისინი მუშათა წრიდან, მაგრამ მერე გადასწყვიტეს არ მიემართათ სასტიკი ზომებისათვის; უფრო სასარგებლო იქნება დაისწრონ ისინი საერთო კრებებზე და აუხსნან მათ რომ პოლიცია და რეაქციონური პარტია იმათ აბრიყვებს და ცდილობს მათი შემწეობით ხელი შეუშალოს პროგრესიულ მოძრაობას. მუშათა პარტია უნდა ცდილობდესო—ამბობდენ მიტინგზე—იხმაროს ყოველივე კულტურული შემაკავშირებელი ზომები და მხოლოთ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს რევოლიუციონურ საშუალებას. კამათის შემდეგ მიტინგზე დამსწრეთა მიიღეს იმ გვარივე რეზოლიუცია, როგორიც მიღებული იყო ვიბორგში ლიტონის ქარხნის მუშათა მიერ: „იმ დროს, როცა რევოლიუციის რისხვა ანგრევს თვითმპრობელობას, ჩვენთვის, მუშებისათვის საჭიროა მჭიდროთ შევკავშირდეთ ერთ პარტიათ, რომ შევეძლოს დაუღალავათ ვიბრძოლოთ ჩვენი ინტერესებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გამარჯვების ნაყოფს ბურჟუაზიული პარტიები ჩაიგდებენ ხელში. მუშათა პარტიამ უნდა მიიღოს ისეთი პროგრამა, რომელიც მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველია. ასეთ პროგრამათ ითვლება პროგრამა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა“. ამას გარდა რეზოლიუცია წინადადებას აძლევს რჩევას განაგრძოს ბრძოლა სახალხო მილიციის დაარსებისათვის 8 საათ. სამუშაო დღის და სოციალიზმის დასამყარებლათ.

პუტილოვის ქარხნის მუშებმა, რაკი დარწმუნდენ, რომ მათ წრეში იმყოფებიან ასამდე კაცი, რომლებიც შავ რაზმელებს გადაუბირებიათ, წინადადება მიცეს დაუყოვნებლივ დაეტოვებიათ ქარხანა. ეს მოთხოვნილება მაშინვე სისრულეში მოიყვანეს.

—

30 ოქტომბერს გაზეთ „რუსის“ სტამბის მუშებს დაუდგენიათ რევოლიუციონური საშუალებით შემოიღონ 8 საათ. სამუშაო დღე და სამი მორიგეობა.

—

30 ოქტომბერს შედგა პეტერბურგის მეკანდიტერების და პურის მცხობლების კრება კავშირის შედგენაზე მოსალაპარაკებლად. გამოირკვა, რომ კავშირის წევრებათ არ მიიღებიან ზედამხედველები და ძღები; კავშირში მონაწილეობას მიიღებენ ოსტატებს გარდა შაკი მუშებიც. კავშირის მიზანია — დაიცვას თავისი პროფესიის ინტერესები; გარდა ამისა მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მომამავალ დამფუძნებელ კრებაზე მოისმენენ კავშირის წესდების პროექტს, სხვა და სხვა დაწესებულებათა დელეგატების მიერ შემუშავებულს.

—

29 ოქტომბერს პეტერბურგში მოხდა შეერთებული კრება სოციალ-დემოკრატების პარტიების საარაიონო კომიტეტთა წევრებისა, (უმცირესობის და უმრაველესობის). კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: რა დამოკიდებულება უნდა იქონიონ მუშათა დეპუტატების საბჭოსთან; ამ საბჭოში არიან პეტერბურგის ქარხნების და ფაბრიკების მუშებისაგან ამორჩეულები, რომლებიც შეიძლება სამ ჯგუფათ დავყოთ: სოციალ-დემოკრატები, „პარტიათა გარეშე მდგომნი“ და ფრიად უმნიშვნელო ჯგუფი სოციალ-რევოლიუციონერებისა.

„პარტიას გარეშე მდგომნი“ უმეტეს ნაწილათ სოციალ-დემოკრატებს ემხრობიან და სოციალ-დემოკრატების ყველა რეზოლიუციებს მხარს უჭერენ. ამ ნაირათ დეპუტატთა საბჭო ხმის უმეტესობით ღებულობდა სოციალ-დემოკრატების რეზოლიუციებს. „მუშათა დეპუტატების ცნობებსაც“ სოციალ-დემოკრატიული ორგანოს ხასიათი ჰქონდა, ყველა წერილებს სოციალ-დემოკრატები ათავსებდენ შიგ. ასე რომ, საბჭოს ფაქტიურათ სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ. მიუხედავათ ამისა ახირებული დამოკიდებულება აქვს საბჭოს პარტიასთან: თუმცა ფაქტიურათ სათაოთბირო სოციალ-დემოკრატიულია, მაგრამ იმას არავითარი სავალდებულო დამოკიდებულება არ აერთებს პარტიასთან. საყოველთაო გაფიცვის მოწყობის დროს ეს კითხვა არ იყო წამოყენებული საბჭოში, რომელიც მაშინ გაფიცვების კომიტეტს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა შიგ საბჭოში წამოყენებულია საკითხი: რომელ პარტიას უნდა მიემხროს ის. ამ დღეებში მომხდარ ორი ფრაქციის (უმცირესობის და უმრავლესობის) ფედერატიულ რჩევის სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: თუ დეპუტატთა საბჭო არ კმაყოფილდება განსაზღვრულ კონკრეტული მოქმედებით და პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედება სწადია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით უნდა იმოქმედოს.

26 ოქტომბრის კრება სულ იმაზე მსჯელობდა, თუ როგორ გაატარონ ეს რეზოლიუცია ცხოვრებაში. „უმცირესობის„ ფრაქციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფედერატიული საბჭოს რეზოლიუციას ისინი სავალდებულოთ არ თვლიან, რადგანაც ის საარაიონო კომიტეტებისაგან არ არის დამტკიცებული. მაგრამ რადგანაც „უმცირესობის“ წარმომადგენელნი საჭიროთ თვლიან, რომ საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ხასიათი ჰქონდეს, იმათ შემდეგ წინადადება შემოიტანეს: არ უნდა დავაჩქაროთ საბჭოს პარტიული ცხვა და თუ შიგ საბჭოში წამოაყენებენ ეს საკითხი, უნდა ვეცადოთ და რამენაირათ «გადავაფუჩეჩოთ»ო.

„უმრავლესობის“ წარმომადგენელნი კი, პირიქით, იმ აზრის იყვენ, რომ კითხვების „გადაფუჩეჩება“ სოციალ-დემოკრატებს არ შეფერის და რადგანაც დეპუტატების საბჭოში ეს კითხვა კიდეც წამოაყენეს, სოციალ-დემოკრატები უნდა ეცადონ, თუ საბჭო პოლიტიკური ორგანიზაციის სახეს იღებს, უსათუოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობა უნდა მიიღოს. პარტიის გარეშე საბჭო მარტო მაშინ შეიძლება დარჩეს, თუ პროფესიონალურ ორგანიზაციათ გადაქცევა ჯ კონკრეტულ მიზანს დაისახავს. ან და სხვა და სხვა ორგანიზაციებს შეთანხმებას ეცდება ბრძოლის გასაძლიერებლათ.

როდესაც ფედერატიული რჩევის რეზოლიუცია პრინციპიალური მხრით გაარჩიეს, ფედერატიულმა რჩევამ შემდეგი პრაქტიკული ხასიათის რეზოლიუცია წარმოადგინა:

1) გაიმართოს რამდენიმე მიტინგი, რომლებზედაც უნდა გამოურკვას სოციალ-დემოკრატიული პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთად-ერთი ხელმძღვანელი მნიშვნელობა; 2) გაიმართოს ორივე ფრაქციის რაიონების კომიტეტთა წევრების და რაიონის წარმომადგენელ სოციალ-დემოკრატთა კრებები, რათა გამოარკვიონ, თუ რომელ ზავოდში თუ ქარხანაში უნდა მოხდეს დამატებითი ანუ ხელ-ახალი არჩევნები და დაინიშნოს კანდიდატები; 3) მოეწყოს მუშა-დეპუტატთა საბჭოში სოციალ-დემოკრატიული „ბლოკი“.

როდესაც რეზოლიუცია უკვე წამოყენებული იყო, „უმცირესობის“ წარმომადგენელებმა განაცხადეს, რომ კრებას არავითარი უფლება არა აქვს, რადგან «უმცირესთა» რაიონის კომიტეტების ყველა წევრნი არ იღებენ მონაწილეობასო. ამის და მიხედვით «უმცირესობის» წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ხმის მიცემაზე. რაიონის კომიტეტთა დანარჩენმა წევრებმა ერთხმათ მიიღეს ფედერატიული კომიტეტის რეზოლიუცია.

—

29 ოქტომბერს მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. კრების განსაკუთრებული სიცოცხლის მიზეზი ის იყო, რომ კრებას დაესწრენ საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი ვერა ზასულიჩი და ლ. გ. დეიჩი. როდესაც საპატიო სტუმრები შუაში ამართულ ესტრადაზე გამოჩნდენ, ხანგრძლივმა ტაშის ხმამ მოკლა მთელი კრება. მრავალი ორატორები აღტაცებით ეგებებოდენ ხალხის განთავისუფლებისთვის თავ-განწირულათ მებრძოლების სამშობლოში დაბრუნებას, იხსენებდენ იმ მძიმე ეკლიან გზას და იმ ტანჯვას და წამებას, რომელიც გამოსცადეს თავისუფლებისათვის თავ-განწირულებმა აჭამდის. ბოლგარიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი მიესალმა ძველფას სტუმრებს და თავის სიტყვაში აღნიშნა ის თვალ-საჩინო გავლენა, რომელიც იქონია რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ბოლგარიის პროლეტარიატზე. ბოლგარელ ამხანაგის შემდეგ ილაპარაკა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის წარმომადგენელმა. ორატორმა მოულოცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ვერა ზასულიჩის და დეიჩის დაბრუნება და დაუმატა რომ სოციალისტ-რევოლიუციონერები სიხარულით ეგებებიან

დამსახურებულ მებრძოლთ, მაგრამ, მწუხარებას გამოსთქვამენ, რადგანაც დანარჩენი მებრძოლნი, როგოლიუციის ძველი მეგობრები: ბრეშკოვსკაია, რომელსაც ასე მაღლა და წრმენით ეჭირა ხელში წითელი დროშა, საზონოვი და გერშუნი, ჯერ კიდევ ბნელ ციხეში სხედან და იტანჯებიან. ამ ორატორის სიტყვებმაც აღტაცებული თანაგრძნობა გამოიწვია. ყველა ორატორების შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა დეიჩი და მხურვალე მადლობა გადაუხადა აქ შეკრებილებილებს ასეთი თანაგრძობისათვის. თავის მოკლე სიტყვაში დეიჩმა დაასურათა რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია, შეადარა მე-70 წლებში „ნაროდნაია ვოლიას“ სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა ახლანდენ მომენტს, რომელსაც ღრმა ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც რუსეთის მუშა ხალხი და დიდებულ რევოლიუციონურ არმიას წარმოადგენს.

პრეზიდიუმის ერთმა წევრმა შესთავაზა ვ. ზასულიჩს და და დეიჩს დაეჩირათ საპატიო თავმჯდომარეების ადგილი, რადგანაც კრებამ პრაქტიკული კითხვების გადაწყვეტას უნდა შეუდგეს.

კრებას უნდა გადაეწყვიტა, რომელი პარტიის ხელმძღვანელობით უნდა იმოქმედოს მუშათა დეპუტატების საბჭომ. თუ საბჭო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუერთდა, საბჭოდან სოციალისტ რევოლიუციონერები და «პარტიათა გარიშე მყოფნი» უნდა გავიდენ და ამ ნაირათ პეტერბურგის პროლეტარიატის შეერთებული ორგანიზაცია დაირღვევა. რადგანაც ეს კითხვა ფრიად სერიოზული გამოდგა—ალარ გადაუწყვეტიათ.

კრებამ შემდეგი კითხვები განიხილა: 1) მუშების შეიარაღება. 2) 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. პირველი კითხვის შესახებ დელეგატებმა მოახსენეს კრებას, თუ როგორ იარაღდებიან იმ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებათა მოლოდინში, რომელსაც მომაკვდავი რეჟიმის დამცველები ამზადებენ ყველგან. 28 ოქტომბერს მუშები ყველა ადგილს სჭედდენ ფოლადის ხმლებსა და ხანჯლებს, ამზადებდენ სხვა თავის დასაცველ იარაღს. ამ მუშაობაში ყველა მუშები იღებდენ მონაწილეობას მოხუცებიდან დაწყებულიშაგირდებამდე. პუტილოვის ქარხნის დელეგატებმა სასიამოვნო ფაქტი აღნიშნა. მან თქვა, იარაღების დამზადებაში ჩვენ ქარხანაში ის მუშებიც იღებდენ მონაწილეობას, რომელნიც უკანასკნელ გაფიცვების დროს გაფიცულებს სდევნიდენ კვტებით და რკინის ლომებითო. ნევის ქარხანაში მუშებმა ფოლადი მოსთხოვეს დირექციას იარაღისთვის. დირექციამ 25 ფუთი ფოლადი მისცა მათ. სიმენსის და გალსკეს ქარხნის მუშებმა ყველა მუშების თოფ-რევოლვერებით შეიარაღება მოთხოვეს ქარხნის ადმინისტრაციას. მოსკოვის ზასტავას იქით კარგა ხანია არსებობს სოციალ-რევოლიუციონერთა მებრძოლი რაზმი, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში მიადგა თავის მზვერავებს და პატრულებს აყენებდა მთელ რაიონში. ერთმა დელეგატმა ურჩია ამხანაგებს, ყველამ ბლომათ იქონიეთ თან გოგირდის სიმქმეო.

შემდეგ კრება 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესაღებ კითხვაზე გადავიდა. კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა იმ ქარხნების მუშათა მოხსენება, სადაც უკვე გაეხორციელებიათ 8 საათის სამუშაო დღე და შემდეგი ორი რეზოლიუცია მიიღო“ მუშათა დეპუტატების საბჭოს საზოგადო კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ ორშაბათიდან, 31 ოქტომბრიდან, პეტერბურგის ყველა ქარხნებში და ზავოდებში რევოლიუციონური გზით გაახორციელონ 8 საათის სამუშაო დღე. ყველა რაიონების ურთი ერთ შორის დახმარება იქნება ამ დადგენილების თავდები“. „მუშათა დეპუტატების საბჭო სიხარულით ეგებება იმ ამხანაგებს, რომელთაც რევოლიუციონური საშუალებით შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე და წინადადებას აძლევს ჩამორჩენილ ქარხანა-ფაბრიკებს შეუთანხმდენ 8 საათისათვის ბრძოლას და გაახორციელონ ეს ყოველგვარი საშუალებით ყველა იმ ქარხანათა დახმარებით, სადაც უკვე გაყვანილია ეს მოთხოვნა“.

როგორ მიეგება „კონსტიტუციას“

(დასასრული).

20 ოქტ. მიტინგი რკინის გზის თეატრში გაიმართა. სხვათა შორის ილაპარაკა თათრების წარმომადგენელმა. „ჩვენ—ამბობდა ახალგაზდა თათარი—მხოლოთ ახლა გავიგეთ, თუ რისთვინ იბრძვიან ჩვენი მოძმენი და რა ხდება ჩვენს ირგვლივ. ახლა ვგრძნობთ, რომ ის თავისუფლება, რომელიც ჩვენ შევიძინეთ, აუარებელი სისხლით არის ნაყიდი; ამ თავისუფლებით ჩვენც ვისარგებლებთ, ხოლო ჩვენი სისხლი იმისათვის სრულიად არ დაქცეულა. მოძმენო, ჩვენ გვრძნობთ ამას და ეს გარემოება გვაიძულებს აწი მაინც არ ჩამოვრჩეთ იმათ, ვინც ხალხის განმათავისუფლებელ დროშის ქვეშ მოღვაწეობს.... ჩვენ მოგვწონს სოც.-დემოკრატიული მოძღვრება და გთხოვთ, ამხანაგებო, მაჰმადიანთა ერთი ჯგუფის მონდობილობით, მიიღოთ ჩვენი სალამი და ძმური ხელი გამოგვიწიოთ. დაგვეხმარენით! ჩვენს ხალხს სურვილები და მისწრაფება კარგი აქვს, მაგრამ უმეცრება ღუპავს... ჩვენ დღემდის ვერ ვიცნობდით ჩვენს მტრებს. თვალები გვქონდა და ვერ ვიხედებოდით, ყურები გვება და არ გვესმოდა, თავი—არ მუშაობდა... სომხებო! ვაპატიოთ ერთმანეთს განვლილი უბედურება, დავივიწყოთ იგი და შევეცადოთ საერთო საქმისთვის თავდადებით სამსახურს“...—„მე არავის არ ვდებ იძდენ ბრალს, თქვა ამის შემდეგ სომხის ორატორმა—რამდენს ჩვენ ნაციონალისტურ პარტიებს და ჩვენს ბურჟუაზიას... სიხარულით ვეგებები ამხანაგ თათრის სიტყვებს და ხმამაღლა ვაღიარებ, რომ მხოლოთ მშრომელი ხალხის შეერთება მოუღებს ბოლოს ჩვენ შორის ატეხილ შურისძიებას. მე, სომეხი სოც.-დემოკრატი, პირველათ ვაძლევ ხელს ამხანაგ თათარს, სრულიად დარწმუნებული, რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიის დროშის ქვეშ, და მხოლოთ მის ქვეშ, ქრება ყოველ გვარი პირადი თუ ნაციონალისტური ინტერესები, ის აკავშირებს და აერთებს ერთი ბედის ქვეშ მყოფს ყველა ეროვნების მშრომელ ხალხს... გაუმარჯოს ძმობას, ერთობას“! თათარმა და სომეხმა სოც. დემოკრატებმა ხელი ხელს მისცეს, საზოგადოება „ურასა“ და ტაშისცემით მიეგება, სცენაზე ამხანაგებმა „ინტერნაციონალი“ იმღერეს...

ასეთი იყო გამარჯვებულ ხალხის თავისუფლების პირველი დღეები ბაქოში.

მაგრამ, რადგანაც ხალხის გამარჯვება აღიარებულია ჯერ-ჯერობით მარტო ქალაქში, ცხოვრებაში კი წინანდულათ ძველი წყობილების მოსამსახურეები თარეშობენ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ისინი უკანასკნელ ღონეს იღონებდენ და ცხოვრების მთელ სიბინძურესა და ნაგავს თავს მოუყრიდენ, რომ იმის უკან და იმის საშვალებით ემოქმედნათ ხალხის წინააღმდეგ. და აი როცა მთელი რუსეთის მოწინავე ნაწილმა ნიშნათ მოახლოებულ (და არა მომხდარ) სრული გამარჯვებისა აფრიალა თავისუფლების წითელი დროშა, რუსეთის სახოგადოების სულით და ზნეობით დაბალ და გარყვნილ ნაწილმა უმეცრების ხელით და ძველი წყობილების დამქაშთა ორგანიზატორობით ამოაფრიალეს ძველი,

ხალხის ჩაგვრისა და ტანჯვის გამხსენებელი, დროშა და მეფისა და ,,მეფის მიერ ბოძებულ თავისუფლების'' სახელით ძარცვა-გლეჯისა და უდანაშაულო ხალხის ხოცვას შეუდგენ... ოდესის, ტომსკის, როსტოვის, თფილისის და სხვ. და სხვ. ამბები უკანასკნელი გესლია თვითმყრობელ მთავრობის! რა თქმა უნდა ეს გესლი უფრო მწვავე იქნებოდა ბაქოში. 20 ოქტომბერს, ე. ი. იმ დროს, როცა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში მიტინგები იმართებოდა, ბაილოვში (ქალაქის ერთი ნაწილია) დაუძლურებულ თვითმყრობილობის დასაცველათ საზოგადოების ნაძირალები იკრიბებოდენ. ,,ოლეუმის'' პრომისელი ცნობილია, როგორც ბუდე ეგრეთ წოდებულ ,,პეტროვცებისა'' (პატრიოტების), ამ პრომისლის მუშებმა ააფრიალეს პირველათ ბაქოში სამფერი დროშა, თავი მოუყარეს მის ქვეშ რამდენიმე ათეულ ,,ხულიგანს'' და გამოემართენ ქალაქისაკენ. აქა-იქ, რა თქმა უნდა, არაყიც გადაკრეს, ღმერთი ახსენეს—და გამოვიდენ ნიკოლოზის ქუჩაზე. გზაში ყველას ქუდს ახდევინებდენ, ბალკონიდან წითელ ფლაგებს გლეჯდენ და სამფერს აკიდებიებდენ, ერთს სტუდენტს და რამდენიმე ჰუშას ცემეს. პროცესიას სულ ემატებოდა ,,ბოსიაკები'' და ტრახტირებში მოწანწალე საეჭვო პირები, აგრეთვე პოლიციელებიც. თათრები ცოტა იყო და საზოგადოთ, უნდა ვთქვათ, რომ ამ მანიფესტაციების შესახებ თათრები ძლიერ თავდაჭერილათ იყვენ, ხოლო წინა დღეების დემოსტრაციებში ბლომათ ერივენ. პროცესიას ირგვლივ კაზაკები ახლდა. საკრებულო ტაძარში სამადლ. პარაკლისი გადიხადეს. გენ.-გუბერნატორმა სიტყვით მიმართა ,,მამულიშვილებს'' და ასე დააბოლავა თავისი სიტყვა: ,,წადით მშვიდობით! ჯარი და კაზაკები თქვენთან წამოვა და დაგიფარავთ''! დაიწყო ,,დიდებული'' მანიფესტაცია და პროვოკატორებიც როლში შევიდენ. ტორგოვაია ქუჩაზე ვიღაც სომეხმა ბომბა ესროლა მანიფესტანტებსო—გავარდა ხმა და წარმოიდგინეთ ერთმა ,,პატრიოტმა'' ქუდით დაიჭირა, თვარა სულ ამოხოცა რუსებსო''! ტელეფონის ქუჩაზე სომხები რუსებს ხოცვენო და სხვ. ,,პატრიოტები'' თანდათან ღელდებოდენ. საღათელოვის სახლთან ,,საიდანღაც'' რევოლვერი გავარდა. ,,სომხის სახლიდან გვესროლეს''—დაიყვირეს ხულიგანებმა, თუმცა დაჭრილი არავინ აღმოჩნდა. (ალბათ ტყვიაც ხელით დარჭირეს)!. კაზაკებმა იშიშვლეს თოფები და გაჩნდა საშინელი სროლა. ცოტა ხნის შემდეგ ზარბაზნებიც მოაგორეს ის სახლთან. სახლს ზარბაზანს უშენდენ, გამვლელ-გამომვლელს კი თოფებს. ბევრი მსხვერპლია, უმეტესობა კი რა თქმა უნდა —სომაები. 21 ოქტომბერს დილიდანვე საშიში შეიქნა ინტელიგენტთათვის, შეგნებულ მუშებისა, სომხებისა და ამ გვართათვის გამოსვლა ქუჩაში. „ხულიგანები" „სოციალისტებზე'' ნადირობდენ. ბაილოვი იწვოდა, იქაც შეგნებულ მუშებს და სომხებს სცემდენ, ხოცავდენ. ისინი შეიკრიბენ ბაილოვში, გადაიხადეს პარაკლისი და ქალაქისკენ გამოსწიეს იმპერატორის სურათითა და ,,ნაციონალურ'' ფლაგებით. გზაში ამათაც ჩამოუარეს მატროსებს. მაგრამ, მიუახლოვდენ კაზარმას თუ არა, მატროსები თოფებით გამოუცვივდენ და ბრბო გაფანტეს. ზოგი ,,პატრიოტი'' დაჭრილია. როგორც იყო იქვე მყოფმა ფლოტის ოფიცრებმა დააწყნარეს აღელვებული მატროსები *) და მანიფესტანტები ქალაქში გამოიშვეს. საკრ. ტაძართან ყრილობა მოხდა, ,,სომხები რათ არ გვესწრებიანო?'' ამბობდენ ორატორები—,,ისინი ჩვენი და ჩვენი მეფის მტერი არიან, ჩვენ გავუსწორდეთ იმათო!'' გასწიეს ნიკოლოზის ქუჩისაკენ. გზაში შეცვივდენ ,,ბაქოს'' რედაქციაში და მოლეწეს იქაურობა. სომხების სახლებს რომ მიუახლოვდენ, ,,საიდანღაც'' გამოვარდა რევოლვერი და პატრიოტები გაიქცა. ბრბომ იგრიალა, გაჩაღდა საშინელი თოფის ცემა ჯარის მხრით, საუკეთესო სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. ნიკოლოზის ქუჩა უპირველესი ქუჩაა ბაქოში და აი ამ ქუჩაზე შუადღისას პოლიციისა და ჯარის თანადასწრებით გაუჩინეს ცეცხლი და გადაწვეს 11 სახლი; ,,პატრიოტები'' კი შემთხვევით სარგებლობდენ და ძარცვავდენ იქაურობას. ვინც ცეცხლს გადაურჩა, იგი ჯარის ტყვიამ იმსხვერპლა... საზოგადოებამ არ იცოდა რა საშუალებისთვის მიემართა, რომ გამხეცებულ ბრბოდან თავი ეხსნა, მაგრამ სალამოს გამოვიდა გენ.-გუბერნატორის განცხადება ყოველგვარ პროცესიების აღკრძალვის შესახებ და გულუბრყვილო მოქალაქე ცოტათი დაწყნარდა. სამაგიეროთ 23 ოქტომბერს კი აშკარათ დაინახა ყველამ, რომ ასეთი განცხადებები მარტო მშვიდ მშრომელ ხალხისათვის არსებობს; ხოლო ,,ხულიგანებით'' სავსე მანიფესტანტებს არამც თუ ნება მიეცა ამ განცხადების შემდეგ ქალაქში პროცესიით სიარულის, იმათ კაზაკებიც აახლეს. ახლა ,,პატრიოტებმა'' პირდაპირ სომხების უბნისაკენ გამოსწიეს, ,,რათა დაენახვებინათ მათთვის თავისი შეერთებული ძალა''. პროცესიას წინ აფიცრები მიუძღოდა, უკან ჯარი. მომაღლო ადგილიდან დავყურებდით ამ ,,შავი რაზმის'' მსვლელობას. გამოვიდენ სომხებით მჭიდროთ დასახლებულ ქუჩაზე. ისე არეულათ მოდიოდენ, ისეთი კიჟინა გაისმოდა, რომ თავი გოტენტოტების ქვეყანაში გეგონებოდათ. კაზაკები შეეჭვდენ: თოფები ჩამოიხსნეს და ხელში დაიჭირეს. ყველანი ვგრძნობდით მოახლოვებულ უბედურებას. გაისმოდა ხმები: „долой армянъ"!.. უცებ ,,საიდანღაც'' რევოლვერი გავარდა... შეუძლებელია, მკითხველო, იმის აწერა, რაც ამის შემდეგ მოხდა. თოფის სროლა არ შეწყვეტილა სამი საათის განმავლობაში. ჩვენ ყხედავდით, როგორ მიდიოდენ პატივცემული მანიფესტანტები სახლებთან, ჯიბიდან რაღაცას იღებდენ (როგორც იქვე მყოფები ამბობენ ნავთით სავსე ბოთლებს და სელს (шакля) და ცეცხლს უკიდებდენ. იქვე მყოფ ჯარსა და პოლიციელებს იმათ შესაჩერებლათ არ ეკალა, დგმურებსა და გამვლელ-გამომვლელს, არა ,,ხულიგანებს'', ხოცავდენ. საშინელი ცეცხლი მოედვა ქუჩას. ცოცხლათ გადარჩენილი დგმურები ამბობენ, რომ პოლიციელები და კაზაკების აფიცრები ყვიროდენ—,,мусульмане и русскіе, выходите!'' ცხადია. სხვების დახსნა ნაბრძანები არ ყოფილა!... ქალებისა და ბავშვების კივილით ვიტანჯებოდით, მაგრამ... შეუბრალებელ ცეცხლის ალი ყლაპავდა ადამიანის მსხვერპლებს, გარეთ კი გამხეცებული ბრბო მეფის ნიკოლოზ II სურათით ხელში ,,ურას'' გაიძახოდა!!... როცა ერთი რუსი შეევარდა მაღაზიაში ფულის გამოსატანათ, კაზაკებმა თოფი დაუშინეს. ,,ულმერთოებო, რუსი ვარ, რუსი!''—უყვიროდა საბრალო. „Врешь, армяшка проклятый!'' მიაყვირეს და ტყვიები მიახალეს. რაღაც სასწაულით გადარჩა იგი, თუმცა ორი ტყვია, როცა ამას ვწერთ, კიდე აქვს მხარში და კისერში გაჩერებული. ძარცვა-გლეჯას ხომ საზღვარი არ ქონდა. ერთი ამხანაგის ბინაზე მივედი მეორე დღეს იმ ქუჩაში. ბინა ცეცხლს გადარჩენოდა (დგმურები უკან მიუხედავათ გამოცვივდენ), მაგრამ ,,ხულიგანებს'' ვერა. სულ გალაგებული იყო—ლამპები, საათები, ტანსაცმელი, პალტოები, წაღები (თავისი გაეხადათ და იქ დაეტოვებიათ), ერთი სიტყვით, ყველაფერი რისი წაღებაც შეიძლებოდა... 30 კაცზე მეტი, დამწვარი და მოკლული წაიღეს ამ დღეს აქედან .. ქალაქში კიდე საშიში იყო სიარული. ხოლო მესამე დღეს გამოვიდა

*) მეორე დღეს მატროსებს იარაღი აყარეს და ჯარის მხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

განცხადება: ,,г. ген.-гтбернаторомъ приказано стрѣлять въ поджигателей и грабителей"...

ამით გათავდა, მკითხველო, ჯერ-ჯერობით ,,თვითმპყრობელ კონსტიტუციის" და ,,თავისუფლების" ეპოპეია ბაქოში.

ქ. —კი.

თავისუფლება!

თავისუფლება დარბაზებში არ იბადება.
ის არის შვილი, პირმშო შვილი ღარიბი კერის,
ის მხოლოთ ბრძოლით, მხოლოთ ბრძოლით მოიპოვება,
ის მუშის მკერდზე მიკონილა და იქა მღერის!
მღერის: მოვდივარ, თუმცა კვნესით, მაინც არ ვდრკები.
ხალხის ძუძუით ვიკვებები, იმით ვიზდები.
და დაჰკრავს წუთი განთიადზე მაისის ვარდათ
მხოლოთ ხალხისთვის, მხოლოთ მისთვის გადავიშლები!

ი. ევდოშვილი.

პატარა ფელეტონი.

«Милые бранятся—только тѣшатся»

ანუ ორი ძმა აიაქსი.

(იხ. ივერია № 200, წერილი: „გაზ. ვოზროჟდენიეს განაცხადათ").

„ივერიამ" ,,ვოზროჟდენიეს" უკბინა... მწარეთ უკბინა. სიყვარულით მოუვიდა ეს თუ სიძულვილით—სწორე მოგახსენოთ—არ ვიცი, მარა რომ უკბინა—ეს კი ცხადია. ნეტა რათ უკბინა ,,ივერიამ" ,,ვოზროჟდენიეს"?

,,ივერიამ" ,,ვოზროჟდენიე" ,,ბარიშნათ" გაგვაცნო... არშიყ ,,ბარიშნათ"! ,,ივერია" ხომ თითონაც ძველი, გამოქნილი არშიყი ჰაბუკია! იქნებ, ამ ცუღლუტმა მხოლოთ გამოსაარშიყებლათ უკბინა არშიყ ,,ბარიშნას".

თუ ეს ასეა—მაშინ ,,ივერიამ" გადააჭარბა. კბენაცაა და კბენაც! საარშიყო კბენა სხვაა და ბრაზ-მორეული კბენა კიდევ სხვა. ,,ვოზროჟდენიეს" ხომ ეტკინებოდა ასეთი მწარე კბენა?

,,ივერია". ქალბატონო! ახლა რევოლიუციონური დროა... ხომ ხედავ, მე ცალ ხელში წითელი დროშა მიჭირავს და მეორეში ახლათ გალესილი მახვილი, შენ კი მოთმინებას, გონიერებას, სიფრთხილეს და თან და თანობას ქადაგობ!... სირცხვილი შენს მანდილს!

,,ვოზროჟდენიე". ბატონო ჩემო! უმჯობესი არაა ამაებს თავი დაანებო? აბა, რა კარგი იქნება ახლა, მე და შენ ერთმანერთს მოვდგეთ და ერთმა მეორის ცოდვები გამოვამზეურონოთ? არ ვარგა, შენი კვნესამე, ორივე შევრცხვებით, თორემ სხვას შენი ჭირი წაუღია.... შენც სუ და მეც სუ!

,,ივ." სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, კეკლუცო პატარძალო! პასუხი მომეც, პასუხი მალე, თორემ ლამის ბრაზმა გადამიტანოს! (მღერის) ,,ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს, შემოვიბერტყოთ ფერხთ მისი მტვერი".

,,ვოზრ.". აი კონკამ კი გაგიტანოს შენა, რაებსა მღერის! ამ სიმღერით გინდა შენ შენი რევოლიუციონერობა დაამტკიცო? ეს ხომ ხუთი წლის ბავშვებმაც იციან ახლა! მერე კიდევ, შენ უნდა მაყვედრიდე მოთმინებას და სიფრთხილეს"?

,,ივ". მე შენ პატიოსანი ქალი მეგონე... მე მეგონა შენ ჩემ რევოლიუციონურ ბანაკში ჩადგებოდი... შენ კი ,,რეაქციონურ ბანაკში" მირბიხარ და ,,პობედონოსცევს უკრავ თავს"!.. რეაქციონერი ხარ!

,,ვოზრ.". უი, ქაო! ეს რაები თქვა, გენაცვალეთ! უი, დამიდგეს თვალები! მეხი კი დაგაყარე მაგ ცარიელ თავზე, როგორც შენ თითონ კი იყო რეაქციონერი! და—ხელახლა ერთი ამ ლორწიანას უყურეთ, თქვენი ჭირიმეთ!

,,ივ." ქალო, ნუ გამომიყვან მეთქი მოთმინებიდან! შენ არ იცი, მგონი, ჩემი ამბავი! მე გააფთრებული რევოლიუციონერი ვარ! (მღერის). აღსდეგ, აღსდექი, მუშავ ძლიერო!..

,,ვოზრ." ხი-ხი - ხი-ხი!

,,ივ". სისხლი ყელს მომადგა მეთქი, გელაპარაკები! შენ არ იყავი, ,,მარქსისტური დოგმის" გაბათილება რომ მოინდომე?..

,,ვოზრ." ხა-ხა-ხა-ხა!

,,ივ.". რა გაცინებს?!

,,ვოზრ.". ხა-ხა-ხა-ხა! აი შე რეტიანო, შენა! აფსუსი არ არის შენც რომ მარქსიზმის დამცველათ გამოდიოდე! შენ სიცოცხლეში სოციალ-დემოკრატიას უყეფ, როგორც კრილოვის ფინია სპილოს, მე კი მხოლოთ ერთხელ გავბედე ,,მარქსიზმის" წინააღმდეგ პირდაპირ ამხედრება და ამასაც აღარ მანებებ?

,,ივ.". შენ ხომ მიწის სოციალიზაციაზე ლაპარაკობ; შენ დახავსებულ აზრებს ავრცელებ! შენ...

,,ვოზრ.". ხმა, ხმა გაკმინდე, შე ურცხვო, შე უნამუსო შენა! დახეთ! აღარც კი რცხვენია! შენ არ იყავი, მუდამ მიწის სოციალიზაციას ებღაუჭებოდი! ახლა ამბობ უარს? ახლა? ფუ შენ ვაჟკაცობას! სინდის-სოვისტიც ასეთი უნდა სწორეთ!..

,,ივ". ვის უბედავ შენ ასეთ სიტყვებს, ვის! ვინა ვარ მე? ვინა ხარ შენ? შენ ,,ვოზრაჟდენიე" კი არა ,,რაზვრაჩენიე" ხარ, გაიგე? რაზვრაშჩენიე! მე კი-მე, მე ნამდვილი რევოლიუციონერი ვარ! (მღერის) ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს... და სხვ...

როგორ მოგწონს, მკითხველო? ხომ აღერსიანი მასლაათია? სწორეთ ამ ორ გაზეთზე ითქმის: **„милые бранятся —только тѣшатся"**—ო!

თაგუნა.

პრესსა.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „Новая жизнь" პირველ ნომერშივე შეეხო რ. ს. დ. მ. პარტიაში არსებულ უთანხმოებას, რომელმაც ხსენებულ პარტიაში ორი მიმდინარეობა დაბადა. „Нов. Ж." აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რუსეთის პოლიციურ-თვითმპყრობილობითი მთავრობის მუხრუჭი დღემდის უშლიდა რუსეთის პროლეტარიატის გაერთიანებას სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ, მაგრამ ამისდა მიუხედავათ სოც.-დემ. ლოზუნგები პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლისა განსაცვიფრებელი სისწრაფით ვრცელდებოდა და იზრდებოდა პროლეტართა შორის, რასაც უმთავრესათ უნდა ეშადლოდეს დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა. პარტიის ორ ფრაქციათ გაყოფას („უმრავლესობა" და „უმცირესობა") გაზეთი სოც.-დემოკრატიის ისტორიის ბნელ მხარეს უწოდებს და სამართლიანათ შენიშნავს რომ ამ განხეთქილებამ პარტია შესამჩნევათ დაასუსტა. შემდეგ გაზეთი მოკლეთ გადმოგვცემს, როგორ მოხდა პარტიის გაყოფა და ამბობს:

,,შესამე სიეზდმა, რომელიც სიდავო კითხვების კადასწყვეტათ იყო მოწვეული, ამ მხრით, ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ,,უმცირესობამ" არ მიიღო მონაწილეობა შე-

სამე სიეზდში სრულიად ფორმარულ მოსაზრებათა მიზეზით, რომელთა სამართლიანობა საეჭვოა და გამართა ,,კონფერენცია''. ამ ნაირად პარტია გაიყო. მაგრამ ამავე დროს სიეზდის და კონფერენციის დადგენილებათა შედარებამ დაგვანახვა, რომ, ისეთი ტაქტიკური განსხვავება, რომელსაც შეეძლოს ორი პარტიის ცალ-ცალკე არსებობის გამართლება, არსად ჩნდა და ორივე ფრაქციამ გადაწყვიტა შეერთებისათვის მომზადება.

ამ ჟამად პოლიტიკური პირობები, რომელნიც საგრძნობელად შეიცვალნენ, დაუფიქრებლივ შეერთებას მოითხოვენ. პარტიას ფრიად ძნელი საორგანიზაციო კითხვის გადაწყვეტა უდგას წინ. სოციალ-დემოკრატია, რომელიც ამ დრომდე ფარულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, დღეს თუ ხვალ პროლეტარიატის აშკარა პარტიათ უნდა გახდეს. ეს კი შეუძლებელია რიგიანად მოეწყოს ამ შემთხვევაში, თუ რომ ორი ფრაქცია, რომელთაც ერთი პროგრამა და ერთნაირი ტრაქტიკა აქვთ—რაც უეჭველისათვის ცხადია—არ გაერთიანდა. სწორეთ მომაკვდინებელი პოლიტიკა იქნება, რომ ორმა ფრაქციამ, რომელნიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეადგენენ, მუშების ,,თავ-თავის'' ორგანიზაციაში გადაბირებაზე ბრძოლას მიჰყონ ხელი. ასეთი პოლიტიკა სელსაურელი იქნება მხოლოთ იმ ელემენტებისათვის, რომელთაც მუშათა კლასის და სოციალ-დემოკრატიის გათიშვა სურთ, და რომელნიც სოციალ-დემოკრატიას ,,დამოუკიდებელ'' მუშათა პარტიას უპირდაპირებენ. სოციალ-დემოკრატიის მტრები, რომელთა რიცხვი ბურჟუაზიულ პარტიების თვით უკიდურეს რადიკალთა შორისაც საკმაოა—ყოველთვის ცბიერი სიხარულით ადევნებდენ თვალყურს პარტიულ განხეთქილებას და თავის სასარგებლოთ იყენებდენ ამ გარემოებას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ აგიტაციის დროს. და ახლაც, თუ კიდევ განაგრძეს არსებობა ,,უმრავლესობამ'' და „უმცირესობამ"—ეს ხომ საუკეთესო ნადაგი და ნატერის ასრულება იქნება ბურჟუაზიულ პარტიებისათვის''.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ამ ორ ფრაქციათა შორის თუმცა კი არსებობს ტაქტიკური უთანხმოება, მაგრამ ეს უთანხმოება შინაურია და აზრთა შეტაკება—მთლიანი პარტიის იდეური ზრდა განვითარების თავდები იქნებაო. წერილი შემდეგი სიტყვებით თავდება:

,,რუსეთის ყველა სოც.-დემოკრატთა მოვალეობაა—ბრაქტიკულათ განახორციელონ პარტიის გაერთიანება, რათა ამით ხელი შეუწყონ საერთო მუშაობის მრავალ რთულ და არსებით კითხვათა გადასაწყვეტად, რომელთაც ახალი რუსეთი უეჭველს სოციალ-დემოკრატიას''.

პირდაპირობა და ორჭოფობა

ხშირათ გამიგონია ასეთი საყვედური: ცხოვრებამ ბევრათ გაუსწრო მწერლობასო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენი მწერლობა ჩამორჩა ცხოვრებას, მან ვერ შეძლო ნამდვილ-ცხოვრების გაცოხატვა, იგი ვერ შეიქნა ამ ცხოვრების ნამდვილი სარკე. ჩვენ ვერ შეუდგებით იმის მიზეზების გამორკვევას, თუ რათ მოხდა ეს ასე. ალბათ იყო ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობდენ ცხოვრების წინ სვლას, მის განვითარებას, და იმავე დროს აფერხებდენ, ჩაგვრიდენ მწერლობას, პრესასა. და აი იმ დროს, როცა პრაქტიკულმა მოღვაწეებმა შეუწყვეტელი და ენერგიული მეცადინეობით გაიკაფეს და გაიწვალდეს გზა, არ შეუშინდენ არავითარ დაბრკოლებას, უარყვეს ყოველგვარი კომპრომისები მოწინააღმდეგე პარტიებთან და პირდაპირ და მტკიცეთ მიდიან ერთხელ დასახულ მიზნისაკენ, იმავე დროს კი მწერლობაში ხშირათ შეხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც ისე დაწვრილებულნი [illegible] პირდაპირ მოქმედებას ვერ ახერხებენ, [illegible] უარყოფიათ და ორჭოფ მიმართულობას ადგანან. ასეთი პირები დღეს მრავალია პროლეტარიატის პარტიაში. პროლეტარიატი ყველაზე მოწინავე კლასია, რომელსაც მაღლა უჭირავს თავისუფლების დროშა, და რა გასაკვირალია, რომ იგი ძალაუნებურათ იზიდავს თავისკენ ისეთ პირებს, რომლებიც სრულებით პროლეტარული აზროვნებით არ არიან განჭეთილი. რა თქმა უნდა, ასეთი პირების მომხრობა და პარტიაში შემოსვლა, პარტიისათვის უფრო მავნებელია, ვინემ სასარგებლო. პროლეტარიატის პარტია, ე. ი. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტია, ყველა არსებული პარტიების მოწინააღმდეგეა. გარდა სოც.-დემოკრატისა ყველა პარტიები ნებით თუ უნებლიეთ გაბატონებულ კლასებს იცავენ. ამიტომ სოც.-დემოკრატიას, როგორც პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველს, არაფერი საერთო არა აქვს დანარჩენ პარტიებთან, მას არ შეუძლია იმათთან რაიმე კომპრომისები მოახდინოს, მისი გზა სულ სხვაა, და იგი პირდაპირ და შეურყეველათ მიდის ამ გზით თავის მიზნისაკენ. მართალია, ბურჟუაზიული პარტიები ძლიერ ხშირათ გაიძახიან, რომ მუშა ხალხს და ბურჟუაზიას აერთებს რაღაც საერთო ინტერესები, რომ იმათ შეუძლიათ ერთი მოქმედება, ერთი გზით სიარული, მაგრამ ეს სიცრუეა და დღეს ეს არც ერთ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მუშას აღარ ჯერა. პროლეტარიატი, როგორც ნამდვილი და ერთათ ერთი რევოლიუციონური კლასი, ვერ დაადგება ორჭოფ მიმართულებას, მას არა წამს კომპრომისები. ამიტომ პროლეტარიატის პარტიაში ვერ უნდა შევიდეს ისეთი პირი, რომელიც სიტყვით თავის თავს პროლეტარიატის მომხრეთ სახავს და საქმით კი ბურჟუაზიას ქომაგობს, ბურჟუაზიულ ორგანიებში იღებს მონაწილეობას. ასეთი პირები ყოველკან არიან; არიან, რა თქმა უნდა, ჩვენშიაც. ერთი იმათგანი ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილია, გაზ. „ივერიის" მუდმივი თანამშრომელი.

არავისთვის საიდუმლოება აღარ არის, რომ დღეს ჩვენში სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია თვალსაჩინოთ გამოყოფილია ყველა დანარჩენ პარტიებისაგან. არც მოძღვრებით, არც პროგრამით და არც ტაქტიკით ჩვენი პარტია ოდნავათაც არ უახლოვდება არც ერთ დანარჩენ პარტიას. სოციალ-დემოკრატი, მაშასადამე, ვერ მიეკედლება ვერც ერთ პარტიას გარდა სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. ეს იქნებოდა თავისივე რწმენის ღალატი, თავისივე პროგრამაზე ხელის აღება. ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის თავის თავს პროლეტარიატის მომხრეს უწოდებს, მას ვითომც მარქსის და ენგელსის მოძღვრებაც წამს, და იმავე დროს კი გაზ. „ივერიის" მუდმივი თანამშრომელი და სულის ჩამბერავი შეიქნა, იმ ,,ივერიის'', რომელიც ვიწრო ნაციონალიზმის გზას ადგას, რომელიც ქართველ ბურჟუაზიას და ქართველ მემამულეებს ესარჩლება, რომელიც ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიასთან ერთათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც თხოულობს. რა არის ეს? როგორ თავსდება ერთათ ,,ივერია'', თუნდაც ,,განახლებული'', და სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება? როგორ მოხდა, რომ იმ ორგანოში, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგია სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების, რომელიც ლანძღვა-გინებით იხსენიებს სოციალ-დემოკრატიას, თავ შესაფარი იშოვა ისეთმა პირმა, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიის წევრათ თვლის? თავის თავათ იგულისხმება, რომ ამას შემდეგ ასეთი პირის სოციალ-დემოკრატიული მიმართულება ძლიერ საეჭვო უნდა ყოფილიყო.

და მართლაც, საკმარისი იყო ცოტა ჩაკვირებოდით ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილის წერილების შინარს, რომ მიშინვე დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ მის ნაწერებსა და მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას შუა დიდი მანძილია, რომ ბ-ნი დარჩიაშვილი ტყუილათ ცდილობს თავისი შეხდულება და აზრები სოციალ-დემოკრატიის სახელით გაასაღოს. იმის დასაფასებლათ, თუ რა ,,მიმართულებას'' ემსახურება ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი, საჭირო არ არის ყველა იმ წერილების განხილვა, რომლებიც მისი ხელმოწერით ,,ივერიაში'' ისტამბებმა, მით უმეტეს რომ უმეტეს ნაწილათ ეს წერილები ავტორის აღტყინებული ფანტაზიის და ,,პოეტური'' ნიჭის ნაყოფია *) და იმ კითხვასთან, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს საერთო არა. ფერი აქვთ. ამისთვის სრულებით საკმარისია ბ-ნ დარჩიაშვილის რამდენიმე წერილის გახხილვა. ჩვენც ასე მოვიქცევით.

უწინარეს ყოვლისა ავიღოთ ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის პირველი გამოსვლა გაზ. ,,ივერიაში'' (იხ. ,,ივერია'' № 147, სტატია: გუშინ და დღეს). ჩვენ აქ თავი უნდა დავანებოთ ავტორის მოთქმა-გოდებას: ,,ჰოი, სამშობლოვ, მძრად ტანჯულო''! ვინაიდან ჰავჰავაძეების, ორბელიანების და სხვების წყალობით ყოველივე ეს ჩვენ დიდი ხანია მობეზრებული გვაქვს. დავანებოთ თავი იმასაც, თუ, რას მიედებ-მოედება აქ ავტორი ჩვენი გლეხობის შესახებ და განვიხილოთ მხოლოთ ის, რასაც ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ქართველ თავად-აზნაურობაზე გველაპარაკება. ნუ დაივიწყებთ მხოლოთ, რომ ავტორი ადარებს ძველსა და ახალს დროს და როგორც მოსაღოდნელი იყო დიდ ცვლილებასაც პოებს. თუ, ჩვენი ავტორის აზრით, წინეთ საქართველოს თავად-აზნაურობა ,,ღვინოსა, სიმღერებში და ქალების ტრფიალში ატარებდა დროს'', დღეს სულ სხვასა ვხედავთ. ,,დღეს ჩვენი თავად-აზნაურობაც ბჭობს. თათბირობს საქვეყნო საქმეებზეო''... მაგრამ ეტყობა ავტორს თითონვე შეშინებია თავისვე სიტყვების და შემდეგ განმარტავს: „მართალია ჩვენ თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ ვერ დაუხვევია თავი ძველი გათახსირებული წოდებრივ ინტერესებისათვის; მართალია იმათ კრებებზე, იმათ თათბირებზე გვესმის სამარცხვინო თავის მოწყალე მსჯელობა, გულგრძნების ადმოუფხვრელი სიტყვაბა **),—მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს-უმცირესობას, გამოუფხიზლია და სხ. ახლა ვიკითხოთ: რისთვის ღალატობს ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ან ლოღიკას ან ფაქტებს? რისთვის ამახინჯებს იგი სინამდვილეს, რისთვის შეძდგარა ასეთ ყალბ გზაზე? ყველა ამ კითხვებზე პასუხს იძლევა წერილის უკანასკნელი სიტყვები. როგორც მოგეხსენებათ იმერ-ამერის თავად-აზნაურობამ ამ წლის გაზაფხულზე ,,უქვეშევრდომილისი ადრესებით'' ქართველი ერის სახელით ითხოვეს საქართველოს ავტონომია. და აი მას შეძდეგ, რაც სოციალ-დემოკრატულმა ორგანიზაციებმა საერთოთ და ერთხმათ დაგმეს ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლების ოინბაზობა, მათი გაიძვერობა და ორგულობა ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი, ეს მუშა ხალხის ვითომდა დამცველი, გამოდის ცდილობს მაღლა გაიძახის: ,,აი, ასე მსჯელობენ და ლაპარაკობენ (იგულისხმეთ: ავტონომიის შესახებ შუამდგომლობის აღძრა!) ჩვენი თავად-აზნაურობის გონებრივათ ჭეშმარიტი ,,თავადნი'', ზნეობრივათ ჭეშმარიტი ,,აზნაურნიო!'' *) მაგრამ დღეს მარტო ეს აღარ კმაროდა. გლეხ-კაცობამ კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს თავად-აზნაურობის ,,ჭეშმარიტი'' ზნეობა და ,,ჭეშმარიტი'' გონება. იმან კარგათ იცის, თუ როგორ ზრუნავენ და მოქმედებენ ცხოვრებაში ეს ,,გონებრივათ ჭეშმარიტი თავადები და ეს ზნეობრივათ ჭეშმარიტი აზნაურები''. ამიტომ ბ-ნ დარჩიაშვილისთვის აუცილებლათ საჭირო იყო თავისებური მჭევრმეტყველობით და ლოღიკით დაემტკიცებია გლეხებისთვის, რომ თავად-აზნაურობა, ე. ი. მემამულეები, სრულებით გლეხ-კაცობის მტერი არ არის, პირიქით, ის გლეხობის ძმა და ამხანაგია, მისებრ გაჭირვებული, მისებრ დაჩაგრული და შეწუხებული. როცა ამას შეასრულებდა, მაშინ ჩვენ ბელადს უნდა დაესახელებია და მიეთითებია იმაზე, თუ ვინ ჩაგრავს და აწუხებს გლეხობას და თავად-აზნაურობას, თუ ვინ არის მათი მტერი. ამნაირათ ბ-ნ დარჩიაშვილის მიზანი მიხწეული იქნებოდა. ის მართლაც ასე მოიქცა.

ჩვენ ვიცით, რომ საუკუნოების განმავლობაში წელში მოხრილი, დაბეჩავებული და მიწასთან ვაბწორებული გლეხკაცობა დღეს პირველათ მოვიდა გონს; მან გაახილა თვალები და თავის მჩაგვრელებს პირდაპირ შეხედა თვალებში და ამყათ შეძახა: კმარა! შეჩერდით! ამიერიდან ჩვენ ნებას აღარ მოგცემთ ჩვენ ზურგზე იაროთ. ჩვენ, დაჩაგრულები და მაშვრალნი, ერთათ ვართო! თავად-აზნაურობისათვის ეს თავზარდაცემა იყო: ვინ მოელოდა ყველასაგან დაბეჩავებულ და მიწასთან გასწორებულ ფუხარა გლეხებიდან გაბედულათ ლაპარაკს, ასეთ ერთპირიანობას და ერთსულობას? თავზარდაცემული, მუქთა-ყლაპია თავად-აზნაურობა იქით ეცა, აქეთ ეცა, და როცა დარწმუნდა, რომ ძალით ვერას გახდებოდა, ძველებური ტაქტიკა შეცვალა: მოდი, ისევ ქედი მოვიხაროთ, თავი მოვიკატუნოთ, გლეხები ჩვენ ძმებათ გამოვაცხადოთ, ჩვენი გაჭირვება შევჩიცლოთ და იქნება, ამ ხერხმა გაჭრას, ე. ი. შეიძლება ამით გლეხები დავიმშვიდოთ და ძველებურათ ვწვადოთ სულიო! ბ-ნ დარჩიაშვილსაც სწორეთ ასეთი ტაქტიკა შეუთვისებია. იგი შემძვრალა თავად-აზნაურობის გულში; იქ ამოუკითხავს ამ თავად-აზნაურობის ნამდვილი გულის წადილი და გლეხებს ასეთი სიტყვებით მიმართავს: ,,დღეს ჩვენ თავად-აზნაურობაშიაც ვხედავთ კაცებს, რომელნიც. . . ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობებით გამსჭვალულხი მიმართვენ გლეხობას: თქვენსა და ჩვენ შორის დიდი სიძულვილი და შური ძიება დათესა საუკუნოებმა, ბევრი შავი დღე, ბევრი უსამართლობა გინახავთ ჩვენგან წარსულში, ბევრ უსამართლობას და სიდუხჭირეს ხედავთ დღესაც,—მაგრამ ნუ თუ გგონიათ ამ უსამართლობას აღმოფხვრით, ჩვენ შორის დავას გადავწყვეტთ ცეცხლითა და მახვილით?... ნუ თუ გგონიათ, რომ ერთმანეთის ჭლეტა და განადგურება შეფერით იმათ, ვისაც წყურიან სიცოცხლე, ცხოვრება, განვითარება? თქვენსა და ჩვენ შორის სამიწა-მფლობელო და წოდებრივი საქმეებია გადასაწყვეტი, ეს არის მიზეზი მთელი დავიდარაბისა, მთელი უბედურებისა, მაგრამ ნუ თუ გგონიათ, რომ ამაში ბრალი ედებათ ან ამის გადაწყვეტა შეუძლია

*) მაგალითისთვის დავასახელებ აქ ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის წერილს ,,მიტინგების'' შესახებ, სადაც სხვათა შორის ავტორი აღფრთოვანებით წერს: ,,სულის ამამაღლებელი, საიდუმლოებით (!) ცისკენ ამართული ბუმბერაზი ჩვენი მთები, საამურათა ჰიდულ-ჩაჰიდული მინდორ-ველები, ამფიტეატრულათ დაჭილი სერები, ბორცვები და ზემოდაბაც სპეტაკი ლაჟვარდოვანი ცისა კამარა, ბრწყინვალე სხივთა უხვათ მფენელი დიდი ლამპარი, ეს დიდებული ხელთ უქმნელი დარბაზი არის სახალხო მიტინგებისათვის''! ყოველივე ეს თურმე ხელს უწყობს მიტინგების გამართვას ჩვენში. სხვა ქვეყნები კი ამ ბედნიერებას მოკლებული ყოფილან! მაგრამ სად ვიყავით აქამდის, ბ-ნო დარ-ლო?

**) ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვებთ..

*) ყველაზე უფრო საუცხოო აქ „გონებრივათ ჭეშმარიტი თავადნი და ზნეობრივათ ჭეშმარიტი აზნაურებია!“

რევაზს ან ვახტანგს? არა და არა. ეს საზოგადო, სახელმწიფო საქმეებია. ამ საქმეების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ სახოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით, ე. ი. კანონით. და განა მარტო თქვენსა და ჩვენ შორის არსებობს სამიწათმფლობელო დავა? სამიწათმფლობელო საქმეები თვითონ ჩვენ, თავადებსა და სხვა თავისუფალ მესაკუთრეთაშორისაც ჯერ კიდევ აწყწილ-დაწყწილია; ჯერ ჩვენც ვერ მოვრიგებულვართ, და ვერ გაგვიგია, რიმელი მამული ვისეკუთვნის'' და სხვა. სეთია ბ-ნ დარჩიაშვილის მჭევრმეტყველობა: ეტყობა იგი ძლიერ გაუტაცნია თავად-აზნაურობის ვექილობის როლს და ამ გატაცებაში ბევრი რამ დაუვიწყნია. დაუვიწყნია ჩვენ ავტორს ჯერ ის, თუ რა დროდან გახდენ ჩვენი თავად-აზნაურები ასეთი ,,ნამდვილი მამულიშვილური ვრძნობებით გამსჭვალულნი?'' როდის აქეთ არის, რომ ისინი გლეხებს ეუბნებიან: დიახ, „ბევრი შავი დღე, ბევრი უსამართლობა გინახავთ ჩვენგან წარსულში, ბევრ უსამართლობას და სიდუხჭირეს ხედავთ დღესაც?'' როგორც ვიცით, დღეს თვითმპყრობელობაც დაადგა დათმობის გზას, მაგრამ რომ გამოიწვია ეს, გულწრფელია ეს დათმობა თუ ხალხის მოსატყუებლათ არის იგი ნახმარი? ბ-ნი დარჩიაშვილი შემდეგ ივიწყებს ან განზრახ ამახინჯებს და სიცრუეს ამბობს, როცა გვეუბნება, რომ ვითომც გლეხები ამხედრებულიყვენ კერძო პირების, ვახტანგების და რევაზების წინააღმდეგ, და არა თვით დღევანდელი სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ, რომ ვითომც გლეხები ქადაგებდენ ცარცვა-გლეჯას და კერძო პირების ჟლეტას და განადგურებას. ეს შეიძლება პირდაპირ ცილისწამებათ ჩავთვალოთ, ვინაიდან ეს საიდუმლოება არ უნდა ყოფილიყო იმისთვის, ვინც კი დღევანდელ მოძრაობას თვალს ადევნებდა. *)

გარდა ამისა როგორ უნდა გავიგოთ ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვები, რომ ,,საადგილმამულო კითხვების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ სახოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით, ე. ი. კანონით.'' **) ნუ თუ ბ-ნ დარჩიაშვილს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ დეე გლეხები დაწყნარდენ, დამშვიდდენ, მემამულეებთან ბრძოლა შეწყვიტონ, და იმათ დავას სახელმწიფოებრივი გზით, ე. ი. კანონით, გადაწყვეტენო? როგორც ჩანს, ბ-ნი დარჩიაშვილი კანონიერების ნიადაგზე დგას, და აბა ახლა კითხეთ მას, თუ აქამდის სწორეთ ამ კანონების ძალით არ ახრჩობდენ და სულს არ ხდიდენ გლეხებს? ბ-ნი დარჩიაშვილის სიტყვების აზრი ასეთია: გლეხები უნდა დამშვიდდენ, მემამულეებს უნდა შეურიგდენ, და თუ რამე სადაო იქნება, ამას ,,სახელმწიფოებრივი გზით, კანონით'' გადაწყვეტენ. მაგრამ ამის თქმა მთელი მოძრაობის ღალატია, ეს ყელის გამოჭრაა. ყველა ბურჟუა-იდეოლოგი, ყველა ფილისტერი, ყველა რეაქციონერი ამას გაიძახის: მუშები ძალმომრეობას ხმარობენ, ისინი კანონს არ ემორჩილებიან, საკუთრებას პატივს არ ცემენო. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ ვინ ხმარობს ძალმომრეობას კანონის სახელით, თუ ვინ ართმევს ძალით, ე. ი. კანონით, სხვას საკუთრებას თავისი საკუთრების გასადიდებლათ. და როცა ჩვენ ასეთი კანონის, ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ, ჩვენთან მოდიან დარჩიაშვილები და გვეუბნებიან: დაიცადეთ, ცოტაფერი იქნება, ყოველივე გადაწყდება სახელმწიფოებრივი გზით, ე. ი. კანონითო''. ამას გვეუბნება ჩვენ ის კაცი, რომელმაც ყურები გამოგვიყრუა თავისუფლებაზე ლაპარაკით, რომელიც სოციალიზმს გვიქადაგებს! ეს კიდევ არაფერი. ბ-ნი დარჩიაშვილის სიტყვით, ის განხეთქილება, რომელიც არსებობს მიწათმფლობელებსა და მიწის მუშებს შორის, ე. ი. მთელი აგრარული საკითხი, რაც თვით თავადებსა და სხვა თავისუფალ მემამულეებში დავაა ატეხილი მიწათმფლობელობის ნიადაგზე''. განა მარტო თქვენსა და ჩვენს შორის არსებობს სამიწათმფლობელო დავაო?—კითხულობს ბ-ნი დარჩიაშვილი. ამაზე მეტი სიყალბე წარმოუდგენელია. მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი ამით როდი ათავებს თავის „რეჩს'' გლეხების მიმართ. შემდეგ იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რასაც ამას წინეთ წერდა იმავე „ივერიაში'' კერძო საკუთრების თავგამოდებული დამცველი, ქართველი სხვილი მემამულე და ტაბილი ლექსების მწერალი, თ-დი ილია ჭავჭავაძე. თქვენ—განაგრძობს ბ-ნი დარჩიაშვილი—ზოგიერთი, ვითომდა სოციალისტები გაგონებენ, რომ კერძო მესაკუთრეების ადგილ-მამული აქვე, დღესვე, დაუყონებლივ უნდა გადაეცეს ხალხს, ამათ უნდა ამუშაონ ყოველივე ერთობით, ძმურათო და სხვ. მაგრამ ეს არ შეიძლება. „ჰეშმარიტი სოციალისტი'' ამას ვერ გეტყოდათ თქვენ''. და კერძო მესაკუთრეების გულის დასამშვიდებლათ ბ-ნი დარჩიაშვილი განმარტავს, რომ „საგანი და მიზანი დღევანდელ მოძრაობისა დღესვე სოციალიზმის განხორციელება არ არისო. „ძმობა, ერთობა, თანასწორობა დიდი რამეა, დიდებული საქმეა და ამის განხორციელებასაც დიდი ფიქრი, დიდი აზრი უნდა, დიდი გული და დიდი გონება. ნუთუ დღეს ჩვენ ამეების შნო და უნარი გვაქვს, ნუთუ დღეს ამის ძალღონე გაგვაჩნია''. ბ-ნ დარჩიაშვილს ამით იმის თქმა უნდოდა, რაც კერძო საკუთრების ცნობილმა დამცველმა თავის კლასიკურ ფრაზაში მოკლეთ გამოხატა, ე. ი. „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება დიდ პატივშიო''. ერთი სიტყვით, ბ-ნი დარჩიაშვილი უარყოფს გლეხებსა და მემამულეებში ყოკელ გვარ განხეთქილებას. გლეხების გაჭირვებას იგი იმით ხსნის, რომ „ჯერ თურმე ჩვენ შრომაც არ ვიცით, შრომა აზრიანი, შრომა შესაფერი ახალის დროისა. ის, რაც ჩვენ ორსა და ოთხ დესეტინაზედაც ვერ მოვეყავს, უცხო განათლებულ ქვეყნებში ერთსა და ორ დღიურზე მოყავთო''. ამნაირათ ჩვენი ავტორის აზრით, ჩვენი გლეხ-კაცობის უბედურების მიზეზი ის არის, რომ მას სწავლა-ცოდნა არა აქვს, რომ ძან „აზრიანი შრომა'' არ იცის. მაგრამ იმას კი არ გვეუბნება ჩვენი ქართველი ავტორი, თუ როგორ არის საქმე ამ მხრით იმ „უცხო განათლებულ ქვეყნებში'', რომლების მაგალითზე იგი ჩვენ გვითითებს? შეიძლება იქ აღარ არსებობს სოციალური საკითხი, შეიძლება განათლებამ და სწავლა-ცოდნამ იქ უკვე ბოლო მოუღო სოციალურ უსწორ-მასწოროობას, ადამიანის-ადამიანის მიერ გაუკუღეფას, რომ იქ აღარ არის კლასობრივი ბრძოლა? ყველა ამეების შესახებ ბ-ნი დარჩიაშვილი ჩვენ არაფერს გვეუბნება და ან კი რა უნდა ეთქვა! სამაგიეროთ იგი გამოსულა და ურცხვათ გაიძახის: „მართალია, ვითომ ჩვენ თავად-აზნაურობას ქვაცა აქვს და კაკალიც, ცხოვრებაც და სიკეთეც? ხალხნო, აბა დაუფიქრდით, აბა მოიგონეთ, განა თავად-აზნაურებში ვერა ხედავთ ისეთებს, ვისაც კუჭი უხმება უსაქმლობისაგან, ხორცი ეწვება ჩაუცმელობისაგან?.. და რატომ არ უნდა იძმოთ და იმოყვროთ ისინი. ვინც თქვენსავე გაჭირვებაში არიან, თქვენსავე ტაფაში ირაკებიან? რატომ ისინიც თქვენთან არ უნდა იყვენ ჭირსა და ლხინში? Въ открытую дверь ломается-ო რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის! ვიზე ლაპარაკობს აქ ბ-ნი დარჩიაშვილი? ან შეიძლება მას ჩვენი გლეხ-კაცობა ნადირებათ და მხეცებათ ყავს წარმოდგენილი? როდის იყო, რომ მან არ იძმო და არ

*) თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ აქ მთელ მოძრაობაზე ვლაპარაკობთ და არა კერძო შემთხვევებზე.

**) ამას წინეთ ბ-მა დარჩიაშვილმა თითქმის ჯვარს აცვა ამის მსგავსი აზრის გამოთქმისათვის გაზ. „ცოზროდენიე''. ერთობ საკვირველია ბ-ნ დარჩიაშვილის რაინდული გამბედაობა.

იმოყვრა ის, ვინც მასავით გაჭირვებულია, ვინც მასავით ერთ ტაფაში იხრაკება? მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ ბ-ნი დარჩიაშვილი ღარიბ თავად-აზნაურობას ესარჩლება და იმას იცავს გლეხების თვალში? სრულებითაც არა. აი რას გვეუბნება ჩვენი უებრო ავტორი: „ვთქვათ, ღარიბ თავად-აზნაურთა რიცხვი პატარა უმცირესობაა, ვთქვათ დიდ უმრავლესობას კი მართლა დიდი მამულ-დედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს (თავში კი არა ღა ჯიბეში ადვილათ! ფ. მ.), თუ ის ოხრათ, გამოუსადეგარათ ეგდება, ან არ შემეძლება ის ამოვაღებინო, რის მოცემაც მას შეუძლია; რა თავში ვიხლი მამულს, თუ არ მექნება ახალი გაუმჯობესებული სამუშაო იარაღი, მაშინები და სხვ.“ როგორც ხედავთ, ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვით, დიდ მემამულეებსაც ღარ ეცხოვრებათ, თურმე იმათ, მისი აზრით, გამოუსადეგარათ უგდიათ მამულ-დედული! მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი აქ არ გამოდგება მოწმეთ: მას მემამულეების ვექილობა უკისრია, და ამიტომ ჩვენ მეორე, მოწინააღმდეგე მხარეს უნდა შევკითხოთ, თვით ცხოვრება, სინამდვილე უნდა ვიმოწმოთ. მაშინ ჩვენ გავიგებთ, თუ როგორ ოხრათ ჩ გამოუსადეგარათ უგდიათ ჩვენ მემამულეებს მიწები; მაშინ ჩვენ შევიტყობთ, თუ რა ღალებს და სხვადასხვა გადასახადებს იღებენ ისინი გაღატაკებული და მშიერ-მწყურვალი გლეხებიდან. მაგრამ საკვირველი ის არის, თუ რომელი ლოღიკის ძალით ჩაჩხირა ბ-მა დარჩიაშვილმა აქ გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, მაშინები, ბატკნები, სამიმოსვლო გზები, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის დაცემა, კრიზისები და ბოლოს „საერთო სიბნელე“, რომელშიაც ჩვენ ყველანი, მისი სიტყვით, განურჩევლათ წოდებისა და სქესისა, ვიმყოფებით. ალბათ იმიტომ, რომ ვინმე დამნაშავე მოენახა, და მიაგნო კიდეც ამ დამნაშავეს. „ესენი ბრძანდებიან ის ბატონები, ის ნამდვილი ბატონები, ვინც ბიუროებსა და კანცელიარიის კრესლოებში ჩასვენებულნი ჩვენზე (ჩვენთვის?) ზრუნავენ, ჩვენა გვპატრონებენო“... „ამ ბატონების სახელია ჩინოვნიკობა, ბიუროკრატია... აი, ამათ ბატონობას და ყმობაში ვართ ჩვენ ყველანი, როგორც თავად-აზნაურობა, ისე გლეხ-კაცობა და მთელი ქვეყანაო.“ აი ასე მარტივათ აქვს წარმოდგენილი ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილს თანამედროვე საზოგადოება, რომელიც კლასობრივ წინააღმდეგობაზეა დაყრდნობილი! იგი ერთი მხრით ხედავს ხალხს, რომელშიაც არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი კლასობრივი განხეთქილება არ არსებობს და მეორე მხრით ჩინოვნიკობას, რომელიც ყველას ბრძანებლობს, ყველას აწუხებს, ყველას ტანჯავს. სხვისმა ვექილობამ ჩვენი ავტორი ასეთ აბსურდამდე მიიყვანა. ავტონომიამ ხომ მას სულ მთლათ დაუბნია დავთარი. შემდეგ წერილში ჩვენ დავანახვებთ მკითხველებს, თუ ბ-ნ დარჩიაშვილს როგორი მალაყების გადასვლა შეძლებია, რასაც იგი თითონ სხვებს უსაყვედურებს.

ფ. მახარაძე.

პარტიის ცხოვრებიდან.

ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების კონფერენციაზე.

სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდა საპარტიათაშორისო კონფერენცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. კონფერენციას უნდა შეემუშავებინა საერთო ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

კონფერენციაზე მოწვეული იყვენ შემდეგ პარტიების ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები: სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციისა, ებრაელთა საყოველთაო მუშათა კავშირისა ლიტვაში, პოლონეთში და რუსეთში (ბუნდი), ლატიშთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა უკრაინის (მალოროსია) რევოლიუციონური პარტიისა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ორგანიზაციური კომისია, ე. ი. „უმცირესობა“), რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ცენტრალური კომიტეტი, ე. ი. „უმრავლესობა“) და პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისა.

კონფერენციას დაესწრენ ყველა მოწვეულ ორგანიზაციების წარმომადგენლები, გარდა სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის, რომელმაც აცნობა კონფერენციას, რომ მან ვერ მოასწრო დელეგატის გამოგზავნა, რადგან დროზე ვერ გაიგო, თუ რა დღეს უნდა მომხდარიყო კონფერენცია. *).

ორგანიზაციური კომისიის წევრმა („უმცირესობა“) განაცხადა, რომ იგი შემთხვევით გამოცხადდა კონფერენციაზე დელეგატის მაგიერ, რომელიც დროზე ვერ მოვიდა, და არა აქვს თავის კოლლეგიისაგან მონდობილობა კონფერენციაზე წარმომადგენლობისა, რომ მას უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე „მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებანი სავალდებულო არ იქნებიან იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნის და თუ განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მას უჭირავს, აქ ხელს არ შეუშლის მის მიერ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას, „ვითარცა სრულ უფლებიანი წევრის“.

კონფერენციამ დაადგინა, რომ

1) ყველა რეზოლიუციები, რომლებიც მიღებული იქნება უბრალო ხმის უმეტესობით (ხმებს თითოეული ორგანიზაცია ცალკე ითვლის), სავალდებულოა იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა წარმომადგენლებიც კონფერენციაზე მიიღებენ ამ რეზოლიუციებს;

2) მიღებულ რეზოლიუციების გამოქვეყნება სავალდებულოა იმ ორგანიზაციებისათვისაც, რომელთა წარმომადგენლები წინააღმდეგნი იყვენ, — თანახმათ ორგანიზაციური კომისიის წევრის განცხადებისა. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

კითხვების გადაჭრის დროს მიღებული ხმების საბოლოოთ დათვლა მოხდეს ორგანიზაციური კომისიისაგან პასუხის მიღების შემდეგ მისი დელეგატის ხმის დამტკიცების (რატიფიკაციის) შესახებ, პასუხი კი უნდა იქნეს მოცემული. (ამადა ამ ვადაზე).

იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულ დროზე პასუხი არ მოვიდა საერთოთ ხმების დათვლის დროს, ორგანიზაციური კომისიის წევრის ხმა სათათბირო ხმათ იქნება მიჩნეული. **)

რომ რაც შეიძლება მალე ესარგებლნა კონფერენციის რეზოლიუციებით, კრებამ დაადგინა:

ნამდვილ ხმის უმეტესობით მიღებული რეზოლიუციები სახელმძღვანელოთ ითვლება იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც მიიღეს ეს რეზოლიუციები, მანამდისაც კი სანამ საბოლოოთ იქნება ხმები დათვლილი და სანამ რეზოლიუციები გამოქვეყნებული იქნება.

კონფერენციაზე დამსწრე ორგანიზაციების აზრის გამორკვევის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და შემ-

*) კონფერენციის შემდეგ სომეხთა სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაცია, გაეცნო რა კონფერენციის მუშაობას, სრული თანხმობა განაცხადა და სავსებით მიიღო მასზე მიღებული რეზოლიუციები.

**) ორგანიზაციურმა კომისიამ უარი განაცხადა რეზოლიუციების მიღებაზე.

დეგ ხანგრძლივი კამათისა, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

ჩვენ შემდეგ პარტიების ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენელები: ებრაელთა საყოველთაო მუშათა კავშირისა ლიტვაში, პოლონეთში და რუსეთში (ბუნდი), ლატიშის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, უკრაინის (მალოროსია) რევოლიციონური პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ცენტრალური კომიტეტი. ე. ი. „უმრავლესობა“) და პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, განვიხილეთ რა კონფერენციაზე საკითხი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, შემდეგი დასკვნა გამოვიყვანეთ:

სახელმწიფო სათათბირო, რომელსაც მეფის მთავრობა იწვევს, ხალხის წარმომადგენლობის საზიზღარი დამახინჯებაა; მისი მიზანია განამტკიცოს რევოლიციონური მოძრაობისგან შერყეული თვითმპყრობელობა და იარაღი მისცეს მთავრობასა და ბურჟუაზიას პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დასამონავებლათ.

ამგვარი თვალთმაქცობით თვითმპყრობელობას უნდა პოლიტიკურათ დაუახლოვდეს მოძრაობისგან დამფთხალ ბურჟუაზიას, მოიმხროს ის და შემდეგ მასთან ერთათ იერიში მიიტანოს პროლეტარიატისა და გლეხკაცობის რევოლიუციონურ მოძრაობაზე.

და რომ სახელმწიფო სათათბიროს სწორეთ ასეთი მიზანი აქვს. რომ ის მხოლოთ მეფის მთავრობის ორგანოა,—ამას თვალსაჩინოთ მოწმობს ექვსი აგვისტოს კანონიც:

1) საარჩევნო სისტემა, რომელიც მაღალ ქონებრივ ცენზზეა დამყარებული, ხმას ართმევს მთელ პროლეტარიატს, ყველა ქალებს, $^{9}/_{10}$ გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მეტ ნაწილს; ხოლო რაც შეეხება იმ ზოგიერთებს, ვისაც საარჩევნო ხმა ეძლევა, მათი ხმა ყოველივე ძალასა კარგავს, რადგანაც არჩევნები «ეტაჟებიანია», და არა პირდაპირი.

2) სახელმწიფო სათათბიროს მხოლოთ სათათბირო ხმა ეძლევა, და არა გადამჭრელი, რის გამოც ის იძულებული იქნება ბიუროკრატიული მეხანიზმის უბრალო მაჩანჩალათ გადიქცეს.

3) ხალხს არ ეძლევა უბრალო მოქალაქობრივი უფლებანი სიტყვის, ბეჭდვის, ყრილობის და კავშირის თავისუფლება, ბინის და პიროვნების ხელშეუხებლობა,—ამავე დროს მატულობს რეპრესიები, შემოდის სამხედრო დებულება, გაისმის თოფების გრიალი, შენდება სარჩობელები, მრავლდება «შავი რაზმები», მთავრობისგან ერთი ერის მეორეზე ამხედრება, და ყველა ეს თვალდათვალ მოწმობს, რომ სათათბიროში არჩევნები – საზიზღარი კომედიაა, რომელიც მხოლოთ მეფის მთავრობას მოუტანს სარგებლობას.

ამიტომ კონფერენციამ სცნო:

1) ტყული იმედია, რომ ვითომ სახელმწიფო სათათბიროს შეეძლოს ხალხის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება; ყველა ამ გვარი ცრუ იმედები, რომლებსაც ასე გულმოდგინეთ ავრცელებს ხალხში მთავრობა და ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, მხოლოთ თვითმპყრობელობას მოუტანს სარგებლობას.

მაშინ როდესაც ესეგე ცრუ იმედები ძირს დასწევს და დაანელებს პროლეტარიატისა და გლეხკაცობის რევოლიციონურ ენერგიას.

2) სახელმწიფო სათათბიროს დებულებამ, გაამართლა რა ჩვენი ტაქტიკური ლოზუნგი, რომ მხოლოთ ხალხის ძლევამოსილ აჯანყებას შეუძლიან ძირს დასცეს პროლეტარიატის წინამძოლობით დღევანდელი წესები და მის ნანგრევებზე ააშენოს კლასიური ბრძოლის უკეთესი პირობები—დემოკრატიული რესპუბლიკა,—ერთხელ კიდევ წამოაყენა რუსეთის სოციალ დემოკრატიის წინაშე მისი მიუცილებელი მიზანი,—ხალხის შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

ამიტომ კონფერენციამ დაადგინა:

1) ვისარგებლოთ მომავალი საარჩევნო კრებებით ჩვენი აგიტაციის გასაფართოვებლათ:

გავმართოთ მიტინგები, შევიჭრათ ყველა საარჩევნო კრებებზე, გამოვაქვეყნოთ იქ სათათბიროს ნამდვილი დანიშნულება, დავამტკიცოთ რომ ჩვენთვის სათათბირო კი არა, სახალხო დამფუძნებელი კრებაა საჭირო, მოწვეული რევოლიუციონური გზით საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დახურული კენჭის ყრით;

მოუწოდოთ ყველა ნამდვილ დემოკრატიულ ელემენტებს რომ აქტიური ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო სათათბიროს და სამარცხვინო ბოძზე მიაკრან ყველა ისინი, ვინც სათათბიროში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ხალხის მოღალატენი.

მივიღოთ ყველა მშნაირ კრებებზე შესაფერისი რეზოლიუციები შესახებ სახელმწიფო სათათბიროსი.

2) სათათბიროს წინაალმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ და იმისთვის, რომ გავლენა ვიქონიოთ ამომრჩევლებზე, უნდა მოვაწყოთ პროლეტარია მასსის რევოლიუციონური გამოსვლა.

3) სათათბიროში არჩევნების უკანასკნელი დღისთვის უნდა მოვაწყოთ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები, ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ არჩევნები ჩაიშალოს, და თუ საჭირო დარჩება ძალასაც უნდა მივმართოთ არჩევნების ჩასაშლელათ.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენციამ გადასწყვიტა – მოწვეულ იქმნეს ახლო მომავალში მეორე კონფერენცია, რის შესრულებაც მიენდო ბუნდის და ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს.

ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები:

1) ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირის ლიტვაში, პოლშაში და რუსეთში (ბუნდი).

2) ლატიშ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.

3) უკრაინის რევოლიუციონური პარტიისა.

4) რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტიისა (ცენტრალური კომიტეტი).

5) სოციალ-დემოკრატიისა პოლშაში და რუსეთში.

— **პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ვარშავის კომიტეტის დადგენილება:** მთავრობის განცხადება, ამართლებს რა სამხედრო დროის წესების შემოღებას და კონსტიტუციის წართმევას იმით, რომ პოლონეთის მოძრაობას სეპარატიული ხასიათი აქვს, არის საზიზღარი ზომა მთავრობის ნაციონალისტური ტაქტიკისა—გამოყოს პოლონეთის რევოლიუცია რუსეთის რევოლიუციისაგან. ვიმოწმებთ იმ ფაქტს, რომ მთავრობამ, მას შემდეგ რაც მან ძალ-მომრეობა იხმარა ჩვენი რევოლიუციონური მანიფესტაციების გასაფანტავათ და ჩვენი ამხანაგების სისხლი დაღვარა, სრული თავისუფლება მიცა პოლონეთის ნაციონალურ მანიფესტანტებს თეთრი არწივით და პოლონეთის პატრიოტული სიმღერებით, რომ ამ მანიფესტანტებზე სენკევიჩი და სხვა ორატორები გაფიცულებს ურჩევდენ მუშაობას შედგომოდენ და დამშვიდებულიყვენ. მთავრობას ამ მანიფესტაციის იმედი ქონდა. რადგან პოლონეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა

არ ერწმუნა არც მთავრობას და არც პოლონეთის ნაციონალისტურ მანიფესტაციებს და საყოველთაო გაფიცვა არ შეწყვიტა, მთავრობამ უღალატა პოლონეთის ნაციონალისტებს, თავის მოკავშირეთ კონტ-რევოლიუციის საქმეში, დაამყარა რა თეთრი ტერორი იმავე ნაციონალისტური ლოზუნგებით, რომლების საშუალებით იგი წინეთ იმედოვნებდა პროლეტარიატის დამშვიდებას. ვამოწმებთ კიდევ იმ ფაქტს, რომ პოლონეთის ნაციონალისტურ მოძრომობას მიზნათ აქვს არა გამოყოფა პოლონეთის რუსეთისაგან, არამედ კონტრ-რევოლიუციის მოხდენა, რომ პოლონეთის რევოლიუციონური პროლეტირიატი მთელი რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთათ მიისწრაფვის საერთო თავისუფლებისაკენ, და არა სეპარაციისაკენ.

— 31 ოქტომბერს, დილის 11 საათიდან ვიდრე საღამომდე, პეტერბურგში მოხდა შეერთებული სააგიტატორო კოლლექტივის კრება. შეიკრიბენ ორივე ფრაქციის წარმომად გენელნი («უმრავლესობის» ჲ «უმცირესობის»). დაესწრო 50-ზე მეტი პროფესიონალური ორატორები. განსახილველი იყო კითხვა ორივე ფრაქციის ორატორების მოქმედებათა შეთანხმების თაობაზე. გადაწყვიტეს აღმასრულებელ ბიუროს არჩევა. ერთხმათ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ბიურო არის შეერთებული სააგიტატორო კოლლეკტივის აღმასრულებელი ორგანო. სააგიტატორო კოლლექტივი ანაწილებს ორატორებს და აგიტაციებს ახდენს შეთანხმებით. მიღებულ იქმნა აგრეთვე, 31 ხმით ხუთი ხმის წინააღმდეგ, დამატება, რომელიც ამბობს, რომ ორივე ფრაქციების ორგანიზაციებს შეუძლიათ ბიუროს საშუალებით მოუწოდონ ორატორებს, თუ ვინიცობაა სადმე იმათი რიცხვი საკმარისი არ არის. შემდეგ მსჯელობა ქონდათ 8 საათის სამუშაო დღეზე და მიღებულ იქმნა აგიტაციის განსაზღვრული სხვმა 8 საათის სამუშაო დღის რევოლიუციონური გზით გასაყვანათ.

— რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მოსკოვის კომიტეტმა და ჯგუფმა შემდეგი პროკლამაცია გამოუშვეს: ამხანაგებო! რუსეთის დიდი რევოლიუცია უკვე თავდება. ახლო მომავალში მოხდება გადამწყვეტი შეტაკება, რაც ითხოვს პროლეტარიატის მჭიდროთ შეკავშირებას და მისი მოქმედების ერთიანობას. რევოლიუციის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ პროლეტარიატი რამდენათ შეგნებულია და თავისი მოქმედებით და ორგანიზაციით გაერთიანებულია. რევოლიუციის სრული გამარჯვება შესაძლებელია მაშინ და, მარტოთ მაშინ, როცა მას სათავეში უდგას პროლეტარიატი, რომელიც შეძლებს გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია ბოლომდის გაიყოლიოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაპოვებლათ. მუშა ხალხში კავშირის და ორგანიზაციის განსამტკიცებლათ, და მაშასადამე, რევოლიუციის სრულ გასამარჯვებლათ, რუს-სოც.-დემოკრ. პარტიის მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის ჯგუფმა გადაწყვიტეს, მიუხედავათ არსებულ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ განსხვავებათა, შეადგინონ ფედერატიული, გაერთიანებული საბჭო მოსკოვის პროლეტარიატის პოლიტიკური მოქმედების შეთანხმებით ხელმძღვანელობისათვის.

ამ ფედერატიული საბჭოს დანიშნულებას შეადგენს გაერთიანება და წინწდაწინვე შედგენილ გეგმით მოწყობა სიტყვიერი და ლიტერატურული აგიტაციისა და პროლეტარიატის ყოველგვარ საჯარო მოქმედებისა და აგრეთვე ყველა დანარჩენ ორგანიზაციებთან ურთიერთობა (ვ. პ.).

—ამნაირათ, როგორც ჩანს თვით ცხოვრებამ წამოაყენა ორი ფრაქციის «უმრავლესობის» და «უმცირესობის» შეერთება, მათი მოქმედების შეთანხმება და არსებულ სამწუხარო განხეთქილების მოსპობა. ყველამ იცის, თუ რამდენათ შეუშალა ხელი ამ განხეთქილებამ პარტიულ მუშაობას და როგორ შეასუსტა მან პარტია. დღეს, როცა ბურჟუაზიური პარტიები ეწყობიან და პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველათ ემზადებიან, თვით პარტიაში განხეთქილება პირდაპირ ხელსაყრელი იქნება პროლეტარიატის მტრებისათვის. ამიტომ საჭიროა, აუცილებლათ საჭიროა, რომ პარტიულ განხეთქილებას ბოლო მოეღოს. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ თფილისში ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციების პირველმა ცდამ ამ მიზნით უნაყოფოთ ჩაიარა. ,,უმრავლესობის'' წარმომადგენლებმა დააყენეს კითხვა პროლეტარიატის მოქმედების გაერთიანებაზე თფილისში, რისთვისაც ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა შეედგინათ, მსგავსათ მოსკოვისა და პეტერბურგის, გამაერთიანებელი ცენტრი. ,,უმცირესობის'' წარმომადგენლებმა კი უარჰყვეს კითხვის ასე დაყენება და პირდაპირ ორივე ფრაქციის შეერთება ცნეს შესაძლებლათ, ე. ი. ადგილობრივ ,,უმრავლესობის'' მათ ორგანიზაციაში შესვლა. კითხვის ასე დაყენების გამო შეთანხმება ჯერჯერობით შეუძლებელი შეიქნა და კრებაც დაიშალა.

ღირსეული ქება-დიდება.

22 ოქტომბერს, იმ დროს, როდესაც გამხეცებული ყაზახები, იუნკრები და ჯარის კაცნი, მომაკვდავი რეჟიმის ღირსეული მეგობრები, უდანაშაულო ადამიანებზე ნადირობდენ, ქვას-ქვაზე არ სტოვებდენ და აღმაშფოთებელ ცარცვა-გლეჯას მისცემოდენ თავდავიწყებით, ხულიგან-პატრიოტა ერთი ჯგუფი ნამესტნიკის სასახლესთან გაჩერებულიყო და ,,ბოჟე ცარია ხრანის'' სიმღერით და ველური ყიჟინით, თავის ერთგულებას უცხადებდა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელს. აქ თოფების გრიალი, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა-გოდება, საბრალო ბალღების სასოწარკვეთილი ყვირილი ერთმანერთში ირეოდა, ახლათ დანთხეულ უდანაშაულო სისხლს ქუჩებზე ოშხივარი ადიოდა და იქ კი, ნამესნიკის სასახლესთან, სიმღერა და ,,ურას'' ყვირილი ჰაერს არყევდა და სასახლის ფანჯრებს აზანზარებდა. თავ-აღებული ხულიგანები, რომელთაც სასახლესთან მოეყარა თავი, შვენიერათ გრძნობდენ ამ დროს, რომ ესოდენ უანგარო ერთგულება მეფისა და ,,სამშობლოს'' მიმართ ამაოთ არ ჩაუვლიდა და ვისიც ჯერ არს ღირსეულათ დააფასებდა მათ ,,გმირულ'' საქციელს... იმედი არ გაუცრუვდა მათ და აი, 10 ნოემბერს, გამოქვეყნდა ნამესტნიკის მიერ 27 ოქტომბერს გამოცემული ,,ბრძანება კავკასიის ოლქისადმი''.

მთავარ-სარდალს კავკასიის ოლქისას, გენერალ-ადიუტანტს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს ,,არ შეუძლია, რომ არ იქოს'' საკადეტო კორპუსი და იუნკერთა სასწავლებელი, რადგან ,,სამწუხარო 22 ოქტომბერს კადეტთა და იუნკრების ყოფა-ქცევა ფრიად უმწიკვლო და დიდი იყო ზნეობრივის მხრით''. მთავარსარდალი ,,სამართლიანათ აქებს თფილისის იუნკრის სასწავლებლის სულიერ სამტკიცეს და სიმამაცეს, რაიც 22 ოქტომბერს ასე ნათლათ დამტკიცდა''. დასასრულ ,,ბრძანების'' ავტორი შემდეგ სურვილს გამოთქვამს: ,,მაშ ეს სამწუხარო დღე (22 ოქტომბ.) კორპუსის და იუნკრის სასწავლებლის ცხოვრებაში ისტორიულ დღეთ გადაიქცეს და მაგალითათ გაუხდეს ყველა მომავალ თაობას''. საზოგადოებამ კარგათ იცის რაში გამოიხატა იუნკრების ,,უმწიკვლო და ზნეობის მხრით დიადი ყოფა ქცევა, სიმტკიცე და სიმამაცე''. თურმე, ნუ იტყვით 10 წლის ბავშვის სისხლის წარბ-შეუხრე-

ლათ დაღვრა, ადამიანთა ყოველად შეუწყნარებელ ჟლეტაში მონაწილეობის მიღება და სხვისი საკუთრების დარბევა-განადგურება და ავაზაკურათ მითვისება უმწიკვლო და მაღალზნეობიანი საქციელი ყოფილა! დღეს ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ ის კადეტები და იუნკრები, რომელთაც მთავრობა „გმირებს“ უწოდებს და მადლობას უძღვნის, ყაზახ-რუსებს და ხულიგანებს ედგათ გვერდში და შესაფერ დახმარებას უწევდენ უკანასკნელთ მათ „საგმირო საქმეებში“. ალარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ იუნკრებმა თავიანთი ხიშტები გიმნაზიელთა სისხლში გასვარეს და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სასახელო ცარცვა-გლეჯაში. აი, თურმე, რაში მდგომარეობს ნამდვილი „სულიერი სიმტკიცე“ და „სიჰამაცე!“ აი, თურმე, რა „უნდა გაუხდეს მაგალითათ მომავალ თაობას“!...

კმარა! დღეს ყველასათვის აშკარაა ასეთ „ბრძანებათა“ და სხვა ოფიციალურ განცხადებათა აზრი! უნიადაგოთ დარჩენილი და ხალხის მიერ შერისხული მთავრობა ხავსს ეჭიდება თავის გადასარჩენათ. ის გახრწნილ ელემენტებში დაეძებს მოკავშირეებს და ასეთი ოინებით აქეზებს საზოგადოების ნაძირალთ, რომ უკანასკნელთ კვლავაც განაგრძონ თავიანთი «ბრწყინვალე» მოღვაწეობა. მეორე მხრით ასეთი „ბრძანებებით“ მთავრობა ლამობს მოიმადლიეროს ჯარის შეუგნებელი ნაწილი და ჩააჩუმოს ის სავალალო აჯანყება, რომელმაც ამ ბოლო დროს „ქრისტეს-მოყვარე მხედრობაშიაც“ იჩინა თავი. ამაოა! ისტორიული ჩარხის ტრიალს ვერ შეაჩერებს ვერავითარი „ბრძანება“!

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ კიდევ ერთხელ გაუხარებია „მოგზაურში“ მოთავსებულ წერილს: „ეროვნული ავტონომია და მუშათა კლასი“. პატივცემულ რედაქციას მოჩვენებია, რომ ეროვნულ ავტონომიას ვითომც ჩვენ დღეს სხვანაირათ ვუყურებთ, რომ დღეს ვითომც ჩვენ „ეროვნული ავტონომია პრინციპიალურათ საჭიროთ მიგვაჩნია, რომ ჩვენ იმას «ბურჟუაზიული სახელით აღარ ვნათლავთ“ და ვითომც მის განხორციელებას დღეს ჩვენ მხოლოთ ტაქტიკური მოსაზრებით არ ვითხოვთ. ვაუწყებთ „ცნ.-ფურ.“-ცლის რედაქციას, რომ მისი სიხარული, მეტი რომ არა ვთქვათ, ნაადრევია, რომ ჩვენ ეროვნულ ავტონომიას დღესაც იმ თვალით ვუყურებთ, როგორც წინეთ, რომ მაში ჩვენ წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მისწრაფებას ვხედავთ და სხვას არაფერს; და თუ ყოველთვის იმას არ ვიმეორებთ, რაც წინეთ ვქვით, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეხედულება შეგვეცვალოს. პირიქით, თუ წინეთ მარტო პრინციპიალური მოსაზრებით ვიყავით დღევანდელ პირობებში ეროვნულ ავტონომიის მოწინააღმდეგე, დღეს კიდევ ტაქტიკური მოსაზრებითაც ვართ მისი წინააღმდეგი. ჩვენი თვალთახედვის ისარი აქაც რევოლუციონური პროლეტარიატის თვალთახედვის ისარია, რაც საკმარისათ გამორკვეულია და აქ იმის განმეობა საჭირო არ არის.

ნაციონალური კატიკანების მოიჯარადრენი.

(წერილი რედაქციის მიმართ).

გასაოცარ ტაქტიკას ადგიან ჩვენი შოვინისტები... კტიტორების არჩევნებისათვის თავი დაუნებებიათ და მოსჭიდებიან იმისთანა საქმეს, რომელიც სრულებით არ შეეხამება მათ რწმენას, მიმართულებას და აზროვნებას. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს ვაჟბატონები, როდესაც ერზე და ეროვნებაზე ლაპარაკობენ, ამა თუ იმ ერის ყველა კლასებს ერთმანეთში ურევენ და ამ სხვა და სხვა კლასთა რაღაც საერთო, ეროვნულ ინტერესებზე ლაპარაკობენ. «ცნობის ფურცელი», «არშალუისი», «მშაკი», «ივერია» და «ნოვოე-დარი»—ყველა ამათ გაანცვიფრეს ქვეყანა იმითი, რომ ისინი ნაციონალისტები არიან, ესე იგი, მათი სატყვით, მეტათ უყვართ თავიანთი სამშობლო. ამასთან ერთათ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს „პატრიოტები“ ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრდენ, მთელი ერის სახელით ერთმანეთს ომს უცხადებენ, გაჭრობას უქადიან. ასე გეგონებათ, რომ ეს საწყლები ნაციონალური პატიოსნების დამცველ მოიჯარადრეთ არიან ამორჩეულნი.

ზოგიერთი იდეოლოგები, როგორც, მაგალითათ, ბ. თოფჩიანი, გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზე და უპრინციპო გაზეთ „არშალუისში“ (№ 38), ბრაზმორეული აგინებენ ქართველ პუბლიცისტებს, არ ესმით კი რისთვის, ვერ შეუგნიათ ამ პუბლიცისტების პოზიცია.

ბ. თოფჩიანი ერთმანეთში ურევს „ივერიას“, „ცნ. ფურცელს“, „მოგზაურს“ და ქართველ ხალხს; სომეხ ერის სახელით ის პროტესტს უცხადებს ხალხს, რომელიც, მისი აზრით, შავი ზღვის პირათ მცხოვრებ სომხების გადასახლების მომხრეა. რა კავშირი აქვს, ბატონო თოფჩიანო, ქართველ ხალხს და «მოგზაურს» თქვენთან და ზოგიერთ ქართველ პუბლიცისტებთან და მათ თავადურ ილიუზიებთან? ნუთუ არ გესმით, რომ ამ კითხვის წამოყენებას შეიძლება მოყვეს ეროვნული შეხლა-შეჯახება?

რაც ქართველ-სომეხთა ხულიგანებისთვის, რომელნიც საჩიკიტნოში სხედან და ქეიფს ეწევიან, მეტათ სასარგებლოა. ამ კითხვის წამოყენებას მე ბოროტ-მოქმედებას ვუწოდებ და როგორც შეგნებული მუშა ვაცხადებ, რომ ქართველ-სომეხთა შეგნებული პროლეტარიატიც ამ ბოროტ-მოქმედების გამო ზიზღს გამოაცხადებს.

«არშალუისის» იმავე ნომერში ბ-ნი თოფჩიანი წერს: „ქართველი პუბლიცისტები, ბაძვენ რა აგაევის მაგალითს, ბრალსა დებენ სომხებს, სხვათა შორის, იმაში, რომ სომხებმა არ იზრუნეს თავიანთ მეზობელ თათრებზე, ხელი არ შეუწყეს მათ პროგრესს და ზნეობრივ განვითარებასო“.

რა შუაში არიან აქ ქართველები, ბატონო თოფჩიანო! თქვენი აზრით მეც სომხების მტერი ვარ, ვითომ მეცა ვდებ სომხებს რაღაცაში ბრალს. რათ ლაპარაკობთ სომხების სახელით, რათ ათვისებთ მთელ სომხის ხალხს თქვენ საკუთარ აზრს?! არა, ბატონო თოფჩიანო, ჩვენ ვკიცხავთ და ვეწინააღმდეგებით თქვენისთანა ბურჟუა-იდეოლოგებს, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მუშათა კლასის თვით-შეგნება შეაფერხონ და დააბნელონ. «საინტერესოა ვიცოდეთო, განაგრძობს ბეტონი თოფჩიანი, რა გააკეთეს თვითონ ქართველებმა ამ მხრივ? თუ ასე ადვილი და შესაძლებელია მეზობელ ერების პროგრესზე ზრუნვა, რატომ არ ეცადენ გამოეყვანათ თავის მეზობელი თათრები იმ ჩამორჩენილ მდგომარეობისაგან, რომელშიაც ისინი იმყოფებიან“... ნუ თუ არ იცით ბატონო თოფჩიანო, რომ ქართველებს ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამა გაიხსენეთ გურულების მოქმედება! ვინ მოქმედებდა აჭარაში, სადაც ნახევრათ გაპროლეტარებულმა გლეხებმა უკვე შეიგნეს თავიანთი მდგომარეობა და გურულებთან ერთათ მედგრათ ებრძვიან ყველა შავ-ბნელ ძალებს? იქაც გაჩნდენ ბიუროკრატიის მიერ გამოგზავნილი ხულიგანები, რომელთაც ხალხთა შორის შუღლი და მტრობა უნდოდათ დაეთესათ, მაგრამ ამ არა მკითხე ვაჟბატონებს ლაზათიანათ მოარტყეს და კუდ-ამოძოებული გამოისტუმრეს. რას ფიქრობთ, ბ-ნო თოფჩიანო? თუ თუ გგონიათ, რომ ცნობილი სომხის «პოლიტიკოსის», არაქელიანცის

და რამოდენიმე მღვდლის მგრძნობიარე სიტყვებმა შეუშალეს ხელი პანისლამიზმს, თათრების სომხებზე მოსევას! თათრები სომხებს ჟუპირობენ ამოჟლეტასო, გაავრცელა ხმა რამდენიმე ხულიგანმა. რამ შეაჩერა მოსალოდნელი ჟლეტა? თათრების პროლეტარიატის მცდელობამ დაუკარგა ნიადაგი ეროვნულ ანტაგონიზმს; თუ არ მოხდა ის, რაც ბაქოში და სხვა ადგილებში—ეს სწორეთ შეგნებული პროლეტარიატის მეცადინეობით აიხსნება და არა თქვენი სანტიმენტალური და უშინაარსო რეჩებით.

ბატონი თოფჩიანი საყვედურს გვიცხადებს, რომ ჩვენ არ თანავუგრძნობთ სომხეთის საკითხს და ვიფარებთ რა პირზე სოციალ-დემოკრატიულ ნიღაბს, სოციალ-დემოკრატიას სახელს ვუტეხთ... „თიო ქმის მთელი ევროპის სოციალ-დემოკრატია თანაუგრძნობს სომეხთა საკითხს, მთელ ქვეყანაზე ცნობილი სოციალისტი—ჟორესი, ბებელი, ზინგერი, ვანდერველდე, ბერნშტეინი და სხვ. მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობიან ამ კითხვასო". ცხადია, რომ ბატონ თოფჩიანს ცოდნია სახელები გამოჩენილი სოციალისტებისა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას მეტათ სუსტი წარმოდგენა აქვს ეკონომიურ მეცნიერებაზე. ასეა თუ ისე საკვირველია, სხვა მეცნიერთა შორის, რატომ დააიწყდა ბ-ნ თოფჩიანს ზომბარტი, რომლის გახსენებაზე ბ-ნი თოფჩიანი დიდ აღტაცებას ეძლევა, ან კიდევ კ. კაუტსკი, რომლის აზრებსაც ისე უღვთოთ ამახინჯებენ თოფჩიანები.

ცდებით, ბ-ნო თოფჩიანო, როცა ბრალსა გვდებთ, ვითომ ჩვენ არ ვაქცევდეთ ყურადღებას „სომეხთა კითხვას". პირიქით ჩვენ უფრო ვზრუნავთ მის გადაწყვეტაზე, მაგრამ ჩვენი ტაქტიკა ამ კითხვაში ბევრათ განსხვავდება თქვენისაგან და თქვენსავით ტყუილ-უბრალოთ არ ვხარჯავთ ენერგიას. რა გააკეთეთ ამდენი ხნის განმავლობაში, ბ-ნო თოფჩიანო, სომეხთა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ? არაფერი.

ხოლო მრავალზე უმრავლესი სომეხთა სოფლები გახდენ თქვენი „მოძრაბის" მსხვერპლი. ისინი გაანადგურა ულმობელი სულთანის ხელმა.

ჩვენ პატივცემით ვეკიდებით „სომეხთა კითხვას", გულს გვიკლავს და ვწუხვარო იმ ჩვენი ძმების დაღუპვის გამო, რომელნიც გახდენ მსხვერპლნი თქვენი შემცდარი ტაქტიკისა.

დიახ, ბ. თოფჩიანო! რამდენიც უნდა ეცადოთ, პროლეტარიატს ვერ დაუკავშირებთ ბურჟუაზიას; მალე დადგება დრო, როდესაც მუშათა კლასი გაარჩევს მტერსა და მოყვარეს და ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს თავის წრიდან გააძევებს.. აი თქვენი მომავალი.

ხეჩო.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ამხანაგების მოხდობილობით, გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ და სიაც გამოაცხადოთ.

შეიდება მამაც-გმირების უმანკო სისხლით გურიის მიდამო; სიტყვიერად მოუსპეს რამდენიმე გმირ გურულებს და დარბეულ და გაანადგურეს 100 მეტი მცხოვრებთა სახლ-კარი.

ზარალი დიდია. რა ვქნათ? ჩვენ ამხანაგო, მუშა-მაშვრალის, პროლეტარიატის დროშის ქვეშ. მებრძოლ ავანგარდს გურულებს, ხულიგანებისაგან მათ დახოცილ და კვდებულებულ ამხანაგების ოჯახებს მივმართავთ თხოვნით, მიიღონ ჩვენი წვლილი—დახმარება და რწმენა, რომ ყარსის ოლქის მაერუებულ, ხრიოკ მიდამოებშიაც ჭქეფს მაშვრალთა მხნე, ბრძოლამოწყურებული გული, ჰქაც არიან მათი ამხანაგები, ჭირში და ლხინში განუყრელნი. ამხრდება რიცხვი და მოუთმენლათ ვუცდით იმ დროს, როცა მაშვრალ-მშრომელის მოწინავე ავანგარდი, გურულები, მოგვიწოდებენ სიბრძოლველათ და საერთო მტრის შურის საძიებლათ—ჩვენც თქვენთან ვართ!

მიიღეთ სალამი და ძმურათ გამოწვდილი ხელი ამხანაგებო-გურულებო!

ქება და დიდება ბრძოლის ველზე ხულიგანებისაგან დახოცილ ამხანაგ მებრძოლთ.—„თქვენ ძეგლებზე ადმოცენდება მწირას მძაფრ ბელი!..."

მხნეობა და ამხანაგური თანაგრძობა უსაზღვრო ნუგეშათ დასჭირდებათ ოჯახებს,—ხულიგანების მსხვერპლთ! ზიზღი, კიცხვა და სისხლის წყეთამდე უუსაფუძვლესი ბრძოლა.

1) იოსებ კანდელაკი—10 მ., 2) დევან კორძახია 10 მ., 3) დათა შუქდელაკი 5 მ., 4) ჰეტრე კობეშავაძე 5 მ., 5) სოლომონ მაზმანელაშვილი 4 მ., 6) **ვარდან ვალენტინოვიჩ** 3 მ., 7) ზაალიკო ქორდოვანიძე 2 მ., 8) ხოსრო კობაიძე 2 მ., 9) **ე. ვარდანის ფაფიკიანც**—1 ე. 10) Иванъ Бондаренко 2 მ., 11) **ყარყაჭი ტიტიანოვიჩიანც**—2 ე., 12) ალექსი მესხი—3 მ., 13) ზაზიკა მაისურაძე 3 მ., 14) **ილი**—50 კოპ. 15) П. Петросовъ 1 მ., 16) თედო კირვალიძე 3 მ., 17) **მკრტიჩ მაისაკიანც**—2 ე. 18) ჰეტრე ჭელაძე 3 მ., 19) სამუელ მიქაბაძე 3 მ., 20) **მკრტიჩ ყოლიანცანც**—1 ე. 21) Саакъ Кешешіанцъ 50 კ., 22) Баятовъ 1 მ., 23) **ეროსიანც ფიდოსიანც**—50 კ. 24) К. Апкарянцъ 1 მ., 25) **ჰაყრაფატ ოთიფანიანც**—1 ე 80 კ., 26) **ყარაფატ**—20 კ. 27) **ჯათაყიანც**—50 კ. 28) **მსყრაკ ნაყლბანდიანც**—50 კ. 29) **ეყე. ავყაფიანც**—1 ე. 30) **ბაყ ჰჯე-ჯერიჭ-ორიანც**—1 ე., 31) მიხა ქორთველაშვილი 1 მ. 50 კ., 32) Иванъ Пчемянцъ 5 მ., 33) **ვარდანის ოთიფანიანც**—1 ე. 34) **ვიქანია**—50 კ. 35) **ე. ჰიფრატიანც**—50 კ. 36) **ჩკიდე მ'ხიფრატიანც**—1 ე. 37) **ხაჭფანც**—10 კ. 38) **ჰამაყიან ოთიფანიანც**—20 კ. 36) დევან ფალავა 8 მ., 40) ისმაილ ჯუსოვი 1 მ., 41) მუსა ხოხორიშვილი 5 მ., 42) მიხა ასლანიშვილი 70 კ., 43) № 2 მ., 44) **ჩიმაია ჩიმაიანც**—20 კ. სულ 100 მ. 20 კ. შემდეგისთვის ცდა უნაყოფოთ არ ჩაგვლის *).

დ. ჭ.

ს. სარიყამიში (ყარსის ოლქი).

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოთ ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემოწირულება თვითმპყრობელის ავლაბრის კონკის მოსამსახურეებისაგან. ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას:

სიმონ შეკრელიშვილისაგან—5 მ., ნინა ბიწკოის ას. ჯამასხვოვისაგან 3 მ., ხლატონ მიქაძემ, იდეა ჩხარტიშვილმა, გიორგი ფანიევმა, ბაღდა ავეტიკოვმა, დავით კარანაშვილმა, ასია ტერ-სტეფანოვმა, ივანე ცხვარაძემ შემოატანეს თრ-თრი მანათი. გიორგი მიკავტაძემ, ბიქტორ ჭაბუკიანმა, ნიკო ნასყიდოვმა, გიორგი ხუტიევმა, ნიკო ქორიძემ, მათე თომაევმა, ნესტორ ხუნდაძემ, ევგ. გვარამაძემ, კიმოთე მჩაიძემ, მიხეილ ივანოშვილმა, ჭოსტა სოსელიამ, სერგო ნასყიდოვმა, სტეფანოვმა, დავით მანჩხანელმა, ქიტეს ხუტიევმა, ნიკო კენჭოშვილმა, გიგო მრულიევმა, სიმ. ავოთოვმა, მარიამ მეცხვაროვისამ—თითო მანეთი. დევანტა მამალაძემ—სამი აბაზი. მიხეილ კანდელაკმა, კალუსტა აღაჯანოვმა, არშაკ როხტომოვმა, ბაღდა ყაროიანოვმა, გოლა ელიკაშვილმა, არტემ გორგაძემ, ტუმაზოვმა, დევან ზალიევმა, იდიკო დადიანაძემ, ივანე ფერშანკოვმა, სპირიდონ დომიძემ, ხლატონ ავალიანმა, არშაკ ვაროიანოვმა, ივანე ჯაბაძემ, ნიკიტა გორდეევმა, დათიკო იოტარიშვილმა, ჩიკაკმა, ემელიან ნოყოხცვემ, ივ. გაბ. გოგაძემ, ბაგრატ მარტიროსიანმა—ათ-ათი შაური. თედორე გრიგორიევმა—ერთი აბაზი. სულ—51 მ. 80 კაპ.

გარდა ამისა გურულების სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო: 1) ბ-ნ ნიკ. იოსელიანშვილისაგან 3 მან., 2) ბ-ნ ნიკოლოზ ოყუჯავასაგან 1 მან.

სულ დღემდის გურულების სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო 161 მან.

---

*) ვთხოვთ ადგილობრივ რუსულ გაზეთების რედაქციებს შემომწირველთა სია გადაბეჭდონ. დ. ჭ.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხის სასულიერო სემენარიისა.